ტელეფონი მესამე

ფასი 7 კაპ.

სამშაბათი, 7 მარტი, 1917 წ.

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადებათა ფასი

ჩვეულებრივ [illegible] პირველ გვერდზე [illegible] 80 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათისშემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი. დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

№ 52 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი № 52

რუსეთის რევოლუცია

ქართველებო, შეგნებულათ, შეერთებულათ, დინჯათ!

სრულიად ქართველთა ერს

ყოველ ერს თავისი სახე აქვს. ყოველ ერს თავისი მიწა-წყალი აქვს, თავისი სამკვიდრებელი. ეს სამკვიდრებელი ხმლით, მკერდით და სიცოცხლის შეწირვით არის დაცული ათასი წლების განმავლობაში. მთელ ერის სამკვიდრებელს, ისე როგორც ყოველ კერძო პირის საკუთრებას, თავისი საზღვარი და მიჯნა აქვს შემოვლებული, რომლის იქით სხვა ერის მიწა-წყალი და სამკვიდრებელი იწყება. ისე როგორც კერძო მოსახლე თუ მესაკუთრე სრული ბატონია თავის საკუთრების ფარგლში, ყანაა ეს საკუთრება, ვენახი თუ ტყე, და როგორც ეპრიანება, ისე მუშაობს, რასაც უნდა იმას დასთესს და მოიყვანს, აგრეთვე ყოველი ერი თავის სამკვიდრებელის საზღვრებში, თავის მიწა-წყალზე სრული ბატონი და უფალი უნდა იყოს და როგორც მას უნდა და ეხერხება, ისე უნდა იცხოვროს. ბევრი ბედნიერი ერი კიდევაც ასეთს ღვთისა და კაცის სამართლის წესით დადებულს პირობებში სცხოვრობს და ვითარდება. ბევრი უბედური ერი კი ამას მოკლებულია. უბედურ ერთა შორის ჩვენი საყვარელი სამშობლოცაა. იმ სამკვიდრებელის საზღვარში, რომელიც ქართველ ხალხს უჭირავს და რომელსაც საქართველო ჰქვიან, ქართული ენა უდიერად შეურაცხყოფილია და უფლება აყრილი. მისი ჭაჭანება არ არის არც სასწავლებელში, არც სასამართლოში, არც საადმინისტრაციო დაწესებულებებში. ეკლესიაშიც კი დევნილი და შევიწროებულია. ქართული ენა მონის ენად არის მიჩნეული, უღირსთა უღირს ენად.

რადგან არც ერთ მთავრობის დაწესებულებაში ჩვენს დედა-ენას გასავალი არ ჰქონდა, ამიტომაც მას თვით თავის მშობლიურ ოჯახშიაც პატივი აეყარა და ჩამოქვეითდა. დედა-ენას ბორკილები დაედვა. ხოლო დედა-ენა ერის სულია და ამ სულსაც დაედვა ეს ბორკილები. დაკნინდა ქართული ენა—დაკნინდა ქართველთა სულიცა და აზრი-გონებაც. ქართველი ერის აზროვნების ძალმომრეობითი გადაშენება იყო ეს!

ენა წახდა, ერი დაეცა!

საქართველოს არა ჰყავდა თავისი მთავრობა, თავისი პატრონი და საქართველოს მიწა-წყალს, ანუ ქართველთა სამკვიდრებელი საზღვრები შემოარღვიეს. შიგ ათასი სხვა და სხვა რჯულის ხალხი შემოიყვანეს, დაასახლეს. უნდოდათ აეჭრელებინათ ჩვენი ქვეყანა, რომელსაც მარტო ქართული სახე ჰქონდა გადაკრული. ათას წლების განმავლობაში აუარებელი სისხლი დაუქცევია ქართველ ერს და უთვალავი მსხვერპლი შეუწირავს მას თავის სამკვიდრებელისათვის, რომ ქართული ერთსახეობა დაეცვა და შეენახა. და ამ უძვირფასეს განძს ერისას აქრობდნენ, აჩანაგებდნენ, იტაცებდნენ, თუ ჰკლავდნენ! საქართველოში ქართველი ერის მაგივრად ოთხი-ხუთი სხვა და სხვა ეროვნება დამკვიდრდებოდა, მორჩა, გათავდა:—საქართველო ქართველების არ იქნებოდა! ქართველი ერი მრავლდებოდა, ხოლო მის ჩამომავლობას გასაშლელ ადგილი არ ექნებოდა. თავისუფალი დაუსახლებელი ადგილები, რომელიც ქართველი ხალხის მომავალ თაობათა სარეზერვო დასასახლებელი ადგილი და ფონდი უნდა ყოფილიყო, ხელში უვარდებოდა ვინც ჩვენი ქვეყნის დასაშლელად და დასარღვევად იყო შემოყვანილი თუ შემოსული. მეტი ჩარა არ იყო, ქართველი კაცი და ქართველი ოჯახი სამშობლოდან უნდა აყრილიყო და უცხო მხარეში გადაბარგულიყო. ასე იძევებოდა და ირიყებოდა ქართველი საქართველოდან. რიცხვმცირე ერს ხალხი ეპირვებოდა და ეს ხალხი კი ამ გზით ეკარგებოდა. თუ ძირეული ოჯახის ნამრავლი, „ნამეტნავი" წევრი მაინც სამშობლოში დარჩებოდა, იწროებაში ვარდებოდა და სული ეხუთებოდა.

ქართველთა სამკვიდრებელი მიწა-წყალი ხრიკებით და ოინებით სხვას უვარდებოდა და ქართველი ერის სხეული იწროვდებოდა, იხუთებოდა, კნინდებოდა!

ქართველი ერის ძალმომრეობითი ფიზიკური გადაშენება იყო ეს!

საქართველოს უძველესს ეკლესიასაც შემოერტყნენ ბჭენი სიმტკიცისანი. იგი გაძარცვეს, დააქციეს, გააველურეს. ხატები, ძვირფასი თვალმარგალიტები გაზიდეს. წარყვნეს სული იბერიის უძველეს ქრისტესი ეკლესიასა. ეკლესიის დაცემამ გამოიწვია მორწმუნე ქართველი ხალხის სარწმუნოების დაცემა და ზნეობის შერყვნა.

ქართველი ერის ძალმომრეობითი სარწმუნოებრივი გადაშენება იყო ეს!

ქართული კანონი და სამართალი საქართველოში გაუქმებული იყო.

საქართველოს ეროვნული მთავრობა, რომელიც უნდა არსებულიყო და საქართველოს ბედის სრული გამგებელი ყოფილიყო იმ ხელშეკრულობის ძალით, რომელიც საქართველოს მეფემ ერეკლე მეორემ და რუსეთის დედოფალმა ეკატერინე მეორემ ურთიერთშორის დასდვეს, საქართველოს კი ეს ეროვნული მთავრობა რუსეთმა გააუქმა. მან დაარღვია ხელმოწერილი პირობა და ხელშეკრულობა. რასაც წესიერი კაცი არ იკადრებს და თუ იკადრა, რასაც კანონი და სამართალი სასტიკად სჯის, ის იკადრა რუსეთის მეფემ ალექსანდრე პირველმა და რუსეთის მთავრობამ, იკადრა და საქართველოსაც მოეჭრა საკუთარი თავი—ეროვნული მთავრობა. იმ დღიდან მთელი საქართველო გადაიქცა უცხო მთავრობის საძიძგნად და მისი მადის შესაქცევ კერძად!

ეს მოხდა რუსეთის იმ წყობილების მეუფებაში, რომელიც 27 თებერვალს დაანხეს. ეს მოხდა იმ სამეფო დინასტიის დროს, რომელიც უკვე გაუქმდა და რუსეთის სახელმწიფოს სათავეში არა სდგას!

მთელი ას ჩვიდმეტი წელიწადია, რაც საქართველო და მთელი ქართველი ერი ეროვნულ მონობის კედლებშია ჩაკირული. მთელი ას ჩვიდმეტი წელიწადია, რაც ქართველი ერი შებორკილია, რაც მის განვითარების გზები შეკრულია. ას ჩვიდმეტი წელიწადია, რაც ჩვენი ერი წყვდიადშია და იხშობა! ას ჩვიდმეტი წელიწადია, რაც საქართველოს სახელი ერთა შორის არ იხსენიება, რაც იგი, რუსეთის ორ გუბერნიად და ერთ-ორ ოლქად იხსენიება მხოლოდ! აი რა უკანონოდ გვიმტრო რუსეთის ძველმა მთავრობამ, როგორ დაგვღუპა, წელში გაგვწყვიტა, გაგვაჩანაგა! ცხადია, საქართველოს შეგნებული და ამომავალი ძალები ასეთ მთავრობასთან ვერ იმუშავებდა. ამიტომაც იგი თავგანწირვით ებრძოდა მას და საუკეთესო შვილებს სწირავდა. დღეს იგი მთავრობა აღარ არის. რაღა თქმა უნდა, სასიხარულოა და ვულოცავთ კიდეც ამ გამარჯვებას რუსეთის ხალხს. მაგრამ გაფრთხილებთ, ქართველებო! ამ საერთო გატაცების დროს, როდესაც აზრი-გონების ცივი მსჯავრი და ანალიზი ანთებულ გრძნობის ალსა და პარპალში არ მოსჩანს, ჩვენის ეროვნულ შეგნების უზენაეს მოვალეობად ვსთვლით მოგიწოდოთ და გითხრათ: რუსეთში დღეს რომ ახალი მთავრობა დამყარდა, ამისთანა და ამაზე უფრო რადიკალი და მემარცხენე მთავრობანი ყოფილან და არიან ევროპასა თუ ამერიკაში, მაგრამ ამ მთავრობებს არ დაუნდვიათ ჩვენსავით ქვეშევრდომი პატარა ერები! პირიქით, ამ მთავრობებს უფრო ოსტატურად და მოხერხებულად შეუბაწრავთ ქვეშევრდომი ერის სხეული! უფრო „განათლებულად" და მოქნილად დაუხშავთ მისი სული. მაგალითები ჰკითხეთ ისტორიულ სინამდვილეს! რა ჩაიდინა ინგლისმა ირლანდიისა და ინდოეთის მიმართ! რა ჰქნა გერმანეთმა პოლონეთის მიმართ! რა ჩაიდინა რესპუბლიკურმა საფრანგეთმა ალჟირის, მაროკოსა, ინდო-ჩინეთის მიმართ! ამიტომაც რუსეთში ახალი მთავრობის გამეფება იმას არ ნიშნავს, რომ საქართველო ეროვნულ უფლებით შეიმოსება და თავისუფლებას დაიბრუნებს.

ისტორია არ გვაძლევს საბუთს ამ მხრივ რომ ვენდოთ. მოცემული და ხელმოწერილი საბუთიც კი დაფხრიწეს და ფეხით გასთელეს. ხოლო საქართველოს აღდგენა, მისი ეროვნული თავისუფლება მთელი ქართველი ხალხის სიცოცხლის მიზანია. ამას მსხვერპლად შესწირვიან წინაპართა აურაცხელი თაობანი, ამას შეეწირებიან მომავალი თაობანიც! ამიტომაც რუსეთის ახალმა მთავრობამ უნდა იცნოს და აღიაროს ქართველი ხალხის ეროვნული უფლების უზენაესობა, აღიაროს ოფიციალად, საქვეყნოდ. ცის ქვეშ თუ რუსის და სხვა ერს თავისუფალ ეროვნულ არსებობის უფლება აქვს, ქართველმა ერმა რა დააშავა? ნუ თუ ქართველი თავისუფლად არ უნდა დაიარებოდეს იმ თავის მიწაწყალზე, რომელიც წინაპართა ძვალ-სისხლით შეზელილს და გაქვავებულ ერის ვეებერთელა ბელტს წარმოადგენს! ქართველ ხალხს კაცებიც ჰყავს და თითონაც აქვს იმის შნო, რომ დამფუძნებელი კრება თავის ქვეყანაში გამართოს და თავისი ეროვნული მთავრობა გაიჩინოს, რომ ენა ქართველი ერის საქართველოს ისტორიულს საზღვრებში გაახელმწიფოს, რომ ქართული წესი და სამართალი დაადგინოს, რომ ქართველ ტომთა სამკვიდრებელს დარღვეული საზღვრები აღუდგინოს და დაუცვას, რომ ეს მიწა-წყალი ქართველ ერის გამრავლებულ ჩამომავლობას შეუნახოს, ეკლესია აღადგინოს, რომ, ერთის სიტყვით, ქართველმა ერმა თვის სრული სახე აღადგინოს და დადგეს სწორ-უფლებიან ერად სხვა ერთა შორის. ქართველი ერი ამას მოითხოვს და თუ რუსეთის ახალ მთავრობას ეს სამართალი მოაქვს ჩვენთვის, კეთილი იყოს მისი დამკვიდრება. ღირსეულ მეგობრობას გაუწევს მას მთელი საქართველო და მასთან ერთად მისთვისვე პატიოსან და კეთილშობილ მსხვერპლსაც გაიღებს. თუ არა და ქართველობა მასთან ორგანიულ სააღმშენებლო მუშაობას ვერ გასწევს და უმიზნო მსხვერპლის გაღებას უნდა დაერიდოს. თუ სამართალია, ჩვენთვისაც სამართალი იყოს. ქართველებო, საჩვენო და სახვისო გავარჩიოთ. ვიყოთ შეგნებულათ, შეერთებულათ, შეერთებულად და დინჯად!

ჩვენი პოზიცია

ომმა შეარყია ძველი ტახტები და გააუბედურა ძველი მბრძანებლები. გაძევებული მეფეების რიცხვს, ალბერტ ბელგიელს, პეტრე სერბიელს, ნიკოლოზ შავმთიელს, ფერდინანდ რუმინელს ერთი უგვირგვინო მეფეც შეემატა. ესაა ნიკოლოზ რომანოვი. ნიკოლოზ მეორე ტახტიდან ძირს ჩამოვიდა და როგორც სჩანს ახლა მხოლოდ ერთს რამისთვის ოცნებობს: რაც შეიძლება ჩქარა უხიფათოდ თავი დააღწიოს რუსეთს, სადაც ძლიერ ბევრი მწარე და ძლიერ ცოტა ბედნიერი წუთები უნახავს.

ერთი შეხედვით მოულოდნელია ეს კატასტროფა. ამ ათი წლის წინად ნიკოლოზ მეორემ შესძლო დიდი შინაური რევოლუციის ჩაქრობა. მისი ხელები სისხლით შეიღება, მაგრამ მისი გული არ ათრთოლებულა. შემდეგ მან შეუშფოთებლად იდღესასწაულა თავისი გვარეულობის სამასი წლის იუბილე. ომის დაწყებისას რუსეთის მთავარი ცენტრები ინახულა, სადაც ხალხი ღიმილით და ვაშას ძახილით შეხვდა. საფიქრებელი იყო, რომ ქვეყანა თავის მბრძანებელს შეურიგდა და ორივე მხარემ საფუძვლიანად დაივიწყა ძველი ანგარიშები.

მაგრამ ულმობელმა გარეშე მტერმა გამოაფხიზლა მიძინებული ეროვნული გონება. რუსეთის რევოლუცია მანჯურიის ომმა დაიწყო და საერთაშორისო ომმა დაამთავრა. ნიკოლოზ მეორის მთავრობა საშინელს სტიქიონში გაუფრთხილებლად შეიჭრა და კიდეც განადგურდა. ხალხს ვერ მისცა რაც საჭირო იყო: პური და გამარჯვება. და დაშვებულმა ხალხმა დამარცხებული მთავრობა სასტიკად გაასამართლა.

ამ ტრაგიკული მოვლენის წინაშე ქართველ ერს განსაკუთრებული პოზიცია უჭირავს. ჩვენ არავითარი ხალისი არ გვაქვს უკანასკნელი რომანოვის მწარე ხვედრი გამოვიტიროთ. მისი უბედურობა ოდნავადაც გულს არ გვიჩუყებს. თვით რუსის ლიბერალების ლიდერმა მილიუკოვმა საჯაროდ აღიარა, რომ ნიკოლოზ მეორე თავის ქვეყნისთვის სასტიკი მტარვალი იყო კიდევ უფრო სასტიკი იყო ის ქართველი ერისათვის. მისი მძიმე სკიპტრის ქვეშ ჩვენ ვიტანჯებოდით როგორც ქვეშევრდომნი და როგორც ჩაგრულ ერის წარმომადგენელნი. მან დაამთავრა ჩვენი მიწა-წყლის განიავება, ჩვენი უფლებების განადგურება, ჩვენი თვითმოქმედების შებოჭვა. ბოლოს უგუნურად საერთაშორისო ომში ჩაგვითრია, რომელშიც ჯერ არაფერი მოგვიგია და ძლიერ ბევრი კი წავაგეთ.

რუსეთში ახალი სამოქალაქო ცხოვრება იწყება. დროებითი მთავრობა, რომელიც რუსის ბურჟუაზიის წარმომადგენლებისაგან შესდგება და რუსის პროლეტარიატს და ლაშქარს ეყრდნობა, პოლიტიკური თავისუფლების მონიჭებას და დამფუძნებელი კრების მოწვევას გვპირდება. მთელს რუსეთთან ერთად ჩვენც ნდობას ვუცხადებთ ამ მთავრობას. მაგრამ თუ მას სჭირია არა მარტო ჩვენი ლოიალური გრძნობა, არამედ ჩვენი აღფრთოვანება, თავდადებაც, ამ თავითვე ანგარიში უნდა გაუწიოს ჩვენს ეროვნულ მოთხოვნილებებს.

რომანოვების გვარმა ამ ას თექვსმეტი წლის წინად საქართველოს სრულიად უსამართლოდ სახელმწიფოებრივი უფლება წაართვა. დაე, ახალმა მთავრობამ მოსპოს ეს უსამართლობა და დაგვიბრუნოს პოლიტიკური ავტონომია.

ჩემი მისალმება

ჯერ ჩემთვის არ ჩამორეკილა სიხარულის ზარი. სადღაც შორს ჩამოირეკა და მესმის მხოლოდ „ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა".

უფრო ღრმად და გასაგონად მესმის საუკუნით დამონებულ ქართვლის ჩუმი ძახილი; უფრო ღრმად და გასაგონად მესმის დაობლებულ დედის ჩივილი. ეს მოთქმა და მწუხარება არარად მიჩნეულ ქართველის მოთქმა და მწუხარებაა. იგი აძახის: დამიბრუნეთ, რაც ძალით წამართვით, მომეცით რაც მებადა, მომეცით ჩემი სახელი და დიდებაო. გულს რა მოგიკლავს, თუ არა ის, რომ შენის დიდებით სხვა იდიდებოდეს, შენის სახელით სხვა ისახელებოდეს და შენის სიმდიდრით სხვა მდიდრდებოდეს!?

აჰა გაჰხედეთ ჩემს დიდებას—საყვარელ საქართველოს, გადახედეთ ამ უკვდავ ძეგლს ჩემთა წინაპართა, სადაც მოღვაწეობდნენ უკვდავნი მამულიშვილნი, გმირნი და თავდადებულნი ჩვენის დიდებისთვის; სადაც დაღვარეს თავიანთი მჩქეფარე სისხლი თავიანთისავე შვილთა სადიდებლათ, სადაც მათი ძვლები მიწის ყოველ მტკაველის ამოთხრაზე დაგხვდებათ, სადაც აღიშენეს ტაძარნი და სასახლენი, სადაც აღიშენეს ციხენი უხეშ მტრის დასახვედრად, სადაც ქართველ ერის ხელმწიფურის სიტყვის და სამართლიანობის ხმა ისმოდა, სადაც აჟღერდა ქართველთა უნაზესი და ბრძნულად ულრმესი გრძნობა შოთა რუსთველის ბაგით.

— აჰა, უმზირეთ ამ დიდებას, ამ ჩემს საქართველოს და აღიარეთ, თუ ეხლა ამ დიდებით სხვა არ იდიდებოდეს!

აჰა, შეიგნეთ ჩემი სახელი, ეს სისხლი და ვაჟკაცობა ჩემის მშობელ ერისა. ცხოვრების რომელ ფურცელს გადმიშლი, რომ იქ არ იყოს აღბეჭდილი გმირობა და თავდადება ჩემთა მოძმეთ! მამელუკებად და იანიჩრებად გარდაგვაქციეს და ჩემის ხელით ნარს გლეჯდნენ და ჰგლეჯენ გზის გასაკაფად. ქართველის სისხლი იღვრებოდა და იღვრება იქ, შორს, და აქ, ახლოს. . მშრომელი მაჯა ესალმებოდა დედას და ცოლშვილს, ობლდებოდა ოჯახს და იბრძოდა იქ, სახელს იხვეჭდა—ეგ ქართველია, ასე ამბობდნენ, და მასთან ყოფნას ამაყობდნენ, ეგ ქართველია, ასე ამბობდნენ და წინ წაიძღვარებდნენ, ეგ ქართველია—უშიშარი რაინდი და მისის სახელით სხვაც აღფრთოვანებაში მოდიოდა.—აჰა, გაიგეთ ეს სახელი, სახელი ჩემთა მამულიშვილთა და აღიარეთ, თუ ეხლა ამ სახელით სხვა არ ისახელებოდეს.

აჰა ასწონეთ...

აჰა ასწონეთ ჩემი სიმდიდრე სხვის ხელში გადასული, გადასული ძალით, წართმევით, დღისით-მზისით, ყაჩაღურათ. წამართვეს მამული და დიდ სახელმწიფოს საკუთრებად გამოაცხადეს, წამართვეს ხაზინა და დამსვეს ცარიელზე, წამართვეს სიმდიდრე ტაძართა და სასახლეთა, სიმდიდრე გლეხთა და აზნაურთა. წამართვეს რწმენა თვით რწმენისა და რჯულისადმი, წამართვეს ფასდაუდებელი და დედის ძუძუსთან შესისხლრცებული ენა ქართული, წამართვეს ზღვა და ხმელეთი, მთა და ბარი, სკიპტრა და გვირგვინი, წამართვეს ერის სიმდიდრე—სამშობლო საქართველო—ივერია, ძველმა არწივმა დამიფლითა და ნაგლეჯებად მიქცია მამულის ხელშეკრულება და, საუკუნეზე მეტია, ჩაბალახ და მანდილ ახდილ მონად მამყოფა. ასწონეთ და დააფასეთ ეს სიმდიდრე, სიმდიდრე ჩემთა მამაპაპათა და აღვიარეთ თუ ამ სიმდიდრით თავს სხვა არ იმდიდრებდეს.

ვინ აღმიდგინოს კვალად დიდება? ვინ არ შებღალოს ჩემი სახელი? ვინ დამიბრუნოს ჩემი სიმდიდრე—ერის ხელმწიფება და მისი ფეხქვეშ გაქელილი თავისუფლება?

ნუ თუ გგონია შენ, დღეს მხიარულო და განთავისუფლებულო ერო ჩრდილოეთისაო, რომ შენ გაქვს მარტო სამშობლო და გსურს მისის ბედნიერებით დასტკბე? ნუ თუ გგონია, შენ გქონდეს მარტო დიდება, სახელი და პატივი, რომ მას უფრო შარავანდედი მოჰფინო? ნუ თუ შენ გაქვს მარტო სათაყვანებელი ენა, რჯული, სახელმწიფო და სიმდიდრე, რომ იგი გიყვარდეს და მისთვის იბრძოლო და მაბრძოლო, რომ უფრო ადიადო და განაძლიერო, მეც ხომ ეს ყველაფერი მქონდა, მიყვარდა და უკანონოდ დაისაკუთრე, უკანონოდ წამართვი.

დღეს შენ მხიარულობ თავისუფლებით, რომელიც მე ადრე მომისპე; დღეს შენ ეძიებ შენის სამშობლოს სახელს და დიდებას, რომელიც მე მქონდა და მომისპე; დღეს შენ იბრძვი და მაბრძოლებ სამშობლოსთვის, რომელიც მეც მაქვს და დღეს შენ გეკუთვნის.

რაც შენ გინდა მოიპოვო და რის მოპოვების უფლებას შენს თავს ანიჭებ, მეც მინდა მოვიპოვო და უფლებაც მოვინიჭო.

მეც მინდა ჩემი სამშობლო განთავისუფლდეს, რომ თავისუფალმა უფრო მხარი მოგცე; მეც მინდა თავისუფლად ვისუნთქო, რომ სიცოცხლე შემრჩეს და დაგეხმარო. მეც მინდა ჩემი რჯული და ენა მქონდეს, მინდა შენის ერის მსგავსად ჩემი ერიც ჩემს მამულში ხელმწიფებდეს, რომ ღირსეულმა ღირსეულად პატივი გცე.

მაშ, დამიბრუნე, რაც მე მეკუთვნის, დამიბრუნე თავისუფალმა თავისუფლება, დამიბრუნე მამულით ბედნიერმა მამულის ბედნირება, დამიბრუნე საქართველო, და მაშინ, მხოლოდ მაშინ უფრო გიწამებ.

სანდრო შანშიაშვილი

დეპეშები

საქართველოს თავად-აზნაურობის დეპეშა.

სახელმწიფო სათათბიროს და მის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს მიხეილ ვლადიმერის ძეს როძიანკოს.

კოპიოები: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს თავადს გიორგი ევგენის ძე ლვოვს; სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატს ნიკ. ჩხეიძეს; სახელმწიფო საბჭოს წევრს (არჩევით) თბ. თავ.-აზნ. საგუბერნიო მარშალს კ. ნ. აფხაზს.

ამ დიდებულ დღეს, ოდეს რუსეთის სახელმწიფოს თავისუფლების ცაზე განთიადი გამობრწყინდა, ქართველი თავად-აზნაურობა, მთელის ქართველ ერის სურვილ-მისწრაფებათა გამომხატველი, უსაზღვროდ ბედნიერია მხურვალედ მიესალმოს ახალს მთავრობას და მებრძოლთ, რომელთა თავგამოდებული მეცადინეობით განხორციელებულია განახლება რუსეთის სახელმწიფო ცხოვრებისა. გადაწყვეტილება ახალის მთავრობისა—მანამ იბრძოლონ, სანამ მტერზე არ გაიმარჯვებენ—აღაფრთოვანებს ქართველს ხალხს, რომელიც, წინაპართა ანდერძის თანახმად, მზათ არის ზვარაკად მიიტანოს თავისი თავი საერთო სამშობლოს სამსხვერპლოზე. ქართველი თავად-აზნაურობა, რომლის საკულტურო მოღვაწეობა და ქონებრივი საშუალებანი მუდამ ჟამს ქართველ ერის კეთილდღეობისადმი იყო მიმართული, საჭიროდ სთვლის განაცხადოს, რომ რუსეთის იმპერიაში შეიძლება, ისე არავის ეტანჯოს დამხობილ სახელმწიფო წესწყობილისაგან, როგორც ქართველებს მთელის ასის წლის განმავლობაში, რაც რუსეთი ბატონობს კავკასიაში. ამ ხნის განმავლობაში ქართველმა ერმა მწვავედ განიცადა მთელი სიმძიმე იმპერიალისტურ ხელისა, რომელიც იწვებოდა და ულმობელად ახრჩობდა ყველაფერს, რასაც ერის თვით-არსებობის ნიშანწყალი ეტყობოდა. ყველა კულტურული საუნჯენი ერის სულისა ალგვილ და გაცამტვერებულ იქმნენ: ეკლესია, სკოლა, მთავრობის დაწესებულებანი — ყველა იმისთვის და არსებობდა აქ, რომ ძალით დაეკარგვინებინა საკუთარი სახე და გაერუსებინა ქართველი. არც ის ვალდებულებანი, რომელიც დაიკისრა მთავრობამ 1783 წლის ტრაქტატით, და რომელიც საქართველოის სამეფოს ბედს რუსეთის იმპერიის ბედს უერთებდა, არც მუდმივი ერთგულება ქართველ ერისა, აღარც ნაკადულნი სისხლისა, დაუსრულებელ ომებში რომ ღვრიდა და დღესაცა ღვრის ქართველობა რუსეთის ხმლის გამარჯვებისათვის,—საკმაო არაფერი შეიქმნა იმისთვის, რომ რუსეთის ცხოვრების მეთაურნი სამართლიანად მოჰკიდებოდნენ ამ ერს.

და ყოველსავე ამის შემდეგ, ვისლა შეეძლო უმეტესის სავსებით და უმეტესის სიხარულით განეცადა სიდიადე უკანასკნელ დღეებში მომხდარ ამბებისა, თუ არ ქართველ ერს, ერს გულმოკლულს, ერს, რომელსაც შეუგინეს ყოველი წმიდათა წმიდა! აწიერიდან ქართველებისათვისაც დგება წამი ეროვნულის აღორძინების, რადგან ამ ერს მტკიცეთა სწამს, რომ ის დიდებული რუსები, რომელთაც თავისის სიცოცხლითა და სისხლით მოუპოვეს თავის სამშობლოს თავისუფლება, სამართლიანობის ვალს მოიხდიან საქართველოს წინაშე, და როდესაც რუსეთში ახალ მართვა-გამგეობის წესწყობილებას საბოლოოთ დაამყარებენ, ქართველ ერს უფლებას მისცემენ განახორციელოს თვისნი ეროვნული უფლებანი პოლიტიკურ ავტონომიის საფუძველზე.

თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი **თ-დი ჩოლოყაშვილი.**

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი. **თ-დი ნიჟარაძე.**

ლვოვის ცირკულიარი.

პეტროგრადი. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ თავადმა ლვოვმა გენ.-ადიუტანტ ალექსეევს, ქალაქის თავებს, საგუბერნიო ერობათა გამგეობის თავმჯდომარეებს, ყველა ფრონტების მთავარსარდლებს, ყველა სამხედრო ოლქების ჯართა უფროსებს, ბალტიის, შავის ზღვის და ციმბირის ფლოტილიათა უფროსებს, ვლადივოსტოკის, სევასტოპოლის, არხანგელსკის და კრონშტატის პორტების კომანდირებს და ფინლანდიის გენერ.-გუბერნატორის თანაშემწეს შემდეგი ცირკულიარული ტელეგრამა გაუგზავნა: „მდგომარე მარტის 2-ს ხელმწიფე იმპერატორი ტახტიდან ჩამოვიდა, უარჰყო ტახტი თავის შვილისათვისაც და დაუთმო დიდს მთავარს მიხეილ ალექსანდრეს ძეს. მარტის 3-ს მიხეილ ალექსანდრეს ძემ უარი განაცხადა შემოსილიყო უმაღლესის უფლებით, სანამდე დამფუძნებელი კრება არ გამოარკვევს, თუ რა ფორმის მართვა-გამგეობა დამყარდებაო და მოუწოდა ხალხს დამორჩილებოდა დროებით მთავრობას, რომელიც სახელმწიფო სათათბიროს მეთაურობით დაწესდა და რომელიც შემოსილია სრულის უფლებით, სანამ მოწვეული იქმნებოდეს დამფუძნებელი კრება, ეს კრებაკი, გამოარკვევს-რა მართვა-გამგეობის ფორმას, გამოსთქვამს ამით სურვილს ხალხისასო. მინისტრთა საბჭოს **თავმჯდომარე თავადი ლვოვი**“.

პეტროგრადი, 3 მარტი. მოწოდება **სამხედრო-სამრეწველო კომიტეტისა:** „მოქალაქენო, ომი გრძელდება. ჯარსა სჭირია ყუმბარები და სურსათი. ყოველი დაკარგული წამი ასუსტებს ჩვენს ძალებს, და აძლიერებს მტერს თავხედადა ხდის მას. გერმანიის გამარჯვება ძველის რეჟიმის აღდგენას მოასწავებს. თავდაცვის განმტკიცებით, ხალხი და ჯარი, რომელმაც რამდენიმე დღეში მოიპოვა თავისუფლება, შესძლებს შეინარჩუნოს იგი და დაამყაროს ქვეყნის გამგებლობა თანახმად ხალხის ნებისყოფისა. ეხლა კი აუცილებელია ქვეყნის დასაცავად მტკიცე შექმნა დროებითი მმართველობისა, ჯარისა და ხალხის ნდობით აღჭურვილისა. ასეთი მთავრობა წარმოსდგება მხოლოდ სახელმწიფო სათათბიროსაგან. მარტო მას შეუძლიან ეხლანდელ მომენტში იყოს ავტორიტეტით აღჭურვილი თავისუფალ ქვეყნისა, ჯარისა და მოკავშირეთა თვალში. უდიდესის პასუხისმგებლობის სრულის შეგნებით ჩვენის ქვეყნის მომავლის წინაშე, რომელიც განიცდის დიდებულ ისტორიულ მომენტს—ჩვენ ვიწვევთ ყველა მოქალაქეს, ყველა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს მშვიდათ და შეუწყვეტლივ განაგრძონ თავიანთი საქმე და სახელმწიფო სათათბიროს განკარგულებაში გადასცენ მთელი თავიანთი ძალა. დრო არ არის კამათისა, უთანხმოებისა და ცალკე მოქმედებისათვის. გახსოვდეთ, რომ მხოლოდ ერთობაშია ხსნა სამშობლოსი და განცალკევებაში — დაღუპვა. გერმანიას არა სძინავს,— მისი შემოტევა სრულის ძალით სწარმოებს. მიეცით ჯარს ყველაფერი საჭირო, არ უღალატოთ მას. ცენტ. კომ.

პეტროგრადი. 4 მარტი. დღეს გამოდის პირველი ნომერი სოციალ-დემოკრატიულ გაზ. „პრავდისა“. გამომცემელია ცენტრ. კომიტეტი.

ყაზანი. 3 მარტი. სტუდენტები და კურსისტკები ულოცავენ ახალ მთავრობას და აწყობენ ფართო ორგანიზაციებს.

მოსკოვი. მოსკოვი დამშვიდდა. გრუზინოვი აცხადებს: მოქალაქენო და ჯარის კაცნო, საქმე გაკეთდა, ყველა უნდა დაუბრუნდეს მუშაობას. გამარჯვებისათვის საჭიროა წესიერება. ქუჩაში შეკრობა ხალხისა უშლის საქმეს. ვინც გაჩერდება ბრბოსთან ერთად —შეგნებული მტერი იქნება სამშობლოსი.

კიევი. კერენსკის დეპეშით სასამართლოს პროკურორმა განათავისუფლა პოლიტიკური დამნაშავენი. გუბერნატორმა განკარგულება გასცა, სიმშვიდე დაიცავით და ახალ მთავრობას დაემორჩილეთო.

პეტროგრადი. 2 მარტი, მუშათა დეპუტატების საბჭომ დაადგინა სასურსათო ორგანიზაციებმა არ მოშალონ თავიანთი მოქმედება. გამოვიდა ნომერი „მუშათა საბჭოს ცნობებისა“, საცა მოითხოვენ: დამფუძნებელ კრების მოწვევას ფარულ, საერთო, პირდაპირ და თანასწორი კენჭის ყრით; გაუქმებას სახელმწიფო საბჭოსას. გამოსცა მოწოდება ტრამვაის მოძრაობის აღდგენაზედ და სთხოვს ხალხს დაეხმაროს ამაში. შესდგა მილიცია.

რომი. 3-ს მარტს. პარლამენტი. ყველანი ესალმებიან რუსეთს. როდესაც გარეშე საქმეთა მინისტრმა სონინომ რუსეთში მომხდარი ამბავი აცნობა. სონინის სიტყვა რამდენჯერმე შეწყვიტეს ტაშის კვრით ინგლისისადმი ალტაცების გამოსახატავად ბაღდადის აღების თაობაზედ. შემდეგ მოხდა მანიფესტაცია.

კიევი. პროკურორმა განაცხადა, რომ ჯერ განთავისუფლდებიან პოლიტიკური დამნაშავენი, რომელნიც სასამართლოზე არიან მიწერილნიო. სამხედრო დამნაშავეთა განთავისუფლება დამოკიდებულია უმაღლეს მთავარ-მართებელზედაო. პოლიცმეისტერი უცხადებს პოლიციას, რომ უნდა დაიცვან წესრიგი და დაემორჩილნენ ახალ მთავრობას.

თამბოვი. მთავრობის ახალ ხელში გადასვლით გაძლიერდა მატარებლების მოძრაობა.

როგორ გადადგა მეფე

პეტროგრადი. პსკოვში, სადაც მეფე იმყოფებოდა, ჩავიდა სათათბიროს აღმასრულებელ კომიტეტის ერთი წევრი და დროებითი მთავრობის ერთი მინისტრთაგანი. მეფესთან მათს საუბარს დაესწრო ჩრდილო ასპარეზის სარდალი გენერალი რუზსკი, სასახლის ნაინისტრალი ფრედერიქსი და ობერ-ეგერმეისტერი ნარიშკინი. დროებითი მთავრობის წარმომადგენელმა მეფეს დაწვრილებით გადასცა პეტროგრადის ამბები და ურჩია, ბრძოლის ველიდან ჯარი არ დაიბაროვო, რადგანაც პეტროგრადში ჩამოსული ჯარი ამბოხებას ემხრობაო. მინისტრმა დასძინა—დროებითმა მთავრობამ განკარგულება გასცა, რათა პეტროგრადისაკენ გაგზავნილი ეშალონები უკანვე დაბრუნონ. „მაშ რა ვქნა“—დაბალის ხმით შეეკითხა მეფე. „ტახტიდან უნდა გადადგეთ“—უპასუხა დროებით მთავრობის წარმომადგენელმა. „დიდათ სამძიმო იქნება ჩემთვის შვილთან განშორება, ამისათვის ტახტს ჩემს ძმას მიხეილს დავულოცავ. მე ხელს მოვაწერ ტახტიდან გადადგომის ქაღალდს ჩემსა და ჩემი ძის მაგიერ“. მეფეს გადასცეს ხელის მოსაწერად წინადვე გამზადებული ქაღალდი. მეფემ ხელი მოაწერა.

პეტროგრადი. 4 მარტი. დროებითმა მთავრობამ მეფის გადადგომის ამბავი დილის 3 საათზე მიიღო. მინისტრთა საბჭო დაუყოვნებლივ შეიკრიბა დილის 10 საათზე მდგომარეობის ასაწონ-დასაწონად. დროებითი მთავრობის ყველა წევრები, აგრეთვე როძიანკო, შულგინი და კარაულოვი მყის გაემართნენ დიდ მთავარ მიხეილ ალექსანდრეს ძის სასახლეში, სადაც ახალი თათბირი გაიმართა 1 საათზე. შეკრებილთა წინაშე წარსდგა მიხეილ ალექსანდრეს ძე და განაცხადა: არ ვიცი, რა უფრო სასარგებლოა რუსეთისათვის, ტახტის მიღება თუ ტახტიდან გადადგომა. ამ საკითხზე ერთსულოვნება არ არის მთავრობაშიაც. რუსეთის კეთილდღეობა უკეთესად იქნება უზრუნველყოფილი ტახტზე ხელის აღებით, ამისათვის დიდმა მთავარმა უმაღლესი უფლებანი მთავრობას გადასცა, თან დაავალა მოიწვიონ დამფუძნებელი კრება მართვა-გამგეობის ფორმისა და ძირითად კანონების შესამუშავებლად.

გოლიცინის დატუსაღება

პეტროგრადი. ძველი მთავრობის სათავეში მდგომი გოლიცინი ღამე თავრიდის სასახლეში მიიყვანეს.

სინოდის სხდომა

პეტროგრადი. პირველი საზეიმო სხდომა სინოდისა 4 მარტს მოხდა კიევის მიტროპოლიტ ვლადიმირის თავმჯდომარეობით, სინოდის ობერ პროკურორის და სათათბიროს წევრის ლვოვის თანადასწრებით. ობერ პროკურორმა სიხარული გამოსთქვა, ეკლესიის ცხოვრებაში თავისუფალი ხანა დადგაო. ობერ-პროკურორმა ბრძანა, დარბაზიდან გაეტანათ მეფის სავარძელი, როგორც ნიშანი ცეზარ-პაპიზმის გაუქმებისა. სინოდის სხდომას პეტროგრადის მიტროპოლიტი ნამყოფი პიტირიმი არ დასწრებია, რადგანაც იგი თანამდებობიდან გადადგა.

დეპუტატთა თათბირი

პეტროგრადი. თავრიდის სასახლეში სათათბიროს წევრთა კერძო თათბირზე ერთხმად დაადგინეს: არ წავიდ-წამოვიდნენ, ყველანი პეტროგრადში დარჩნენ და ახალ მთავრობას დაეხმარნენ.

პოლიტიკურთა დახმარება

პეტროგრადი. განთავისუფლებულ პოლიტიკურთა და მათი ოჯახებისათვის 200 ათასი მანათი შეგროვდა.

სასურსათო თათბირი

პეტროგრადი. მიწადმოქმედების ახალ მინისტრს, სათათბიროს წევრს შინგარიევს მიწათმოქმედების სამინისტროს მოხელენი წარუდგნენ. მინისტრის მისალმების შემდეგ სასურსათო თათბირი გაიმართა.

წესრიგის დაცვა

პეტროგრადი. იუსტიციის მინისტრმა მოწოდება გამოსცა: ერის ღირსებისა დასაცავად ყველა ვალდებულია ყოველი პიროვნების ხელშეუხებლობა. ძალმომრეობის ჩამდენთ სამართლიანის წესით დასჯიან.

მძარცველთა დევნა

პეტროგრადი. აღმასრულებელ კომიტეტის წევრმა კარაულოვმა პეტროგრადში ბრძანება გასცა: სატუსაღოებიდან პოლიტიკურ დამნაშავეთა განთავისუფლებულებთან ერთად საშუხაროთ სისხლის სამართლით დასჯილნიც გამოსულან, რომელნიც კერძო სახლებში უვარდებიან, ჯარისკაცურად გამოწყობილნი უკანონო ჩხრეკას ახდენენ, ძალმომრეობენ, შიშის ზარსა სცემენ მცხოვრებთ. ამისათვის ვბრძანებთ: ასეთი პირნი დაუყოვნებლივ შეიპყარით და სასტიკად მოექეცით, თუ წინააღმდეგობა გაგიწიონ, დახვრიტეთ კიდეც.

ჯარის მიმხრობა.

ცარიცინი. ადგილობრივი ჯარი დროებითს მთავრობას მიემხრო. ქალაქში სიწყნარე და აღფრთოვანებაა.

რუსეთის ქალაქებში.

დროებითს მთავრობას ნდობა გამოუცხადეს: ყაზანმა, კიევმა, ცარიცინმა, ალექსინმა, გლახნამ, სარაპულმა, ბელოზერსკმა, ნოვოჩერკასკმა, სარატოვმა, ორიოლმა, ტაშკენტმა, ორელმა, პოლტავამ, სამარამ, ეკატერინოსლავმა. პოლიციელთ იარაღი აჰყარეს, ქუჩებში მშვიდობიანი მანიფესტაციები მოახდინეს, ჯარი ახალ მთავრობას მიემხრო.

მეფის სასახლე.

დროებითმა მთავრობამ დაადგინა საზამთრო სასახლე ეროვნულ კუთვნილებად გამოაცხადოს და დამფუძნებელი კრება მოათავსოს შიგ.

ინგლისის ჯარის წარმომადგენელი.

პეტროგრადი. 3 მარტს. ინგლისის ჯარის წარმომადგენელმა იუსტიციის მინისტრს კერენსკის განუცხადა, ინგლისის ელჩმა მომანდო მივესალმო მუშათა დეპუტატების საბჭოს და სახელმწიფო სათათბიროს აღმასრულებელ კომიტეტს. ფინანსთა სამინისტროს კომისარებმა სათათბიროს დეპუტატებმა: ტიტოვმა და ვინოგრადოვმა მოუწოდეს სამინისტროში მოსამსახურეთ, დაუყოვნებლივ შეუდგნენ მიმდინარე საქმეებსაო.

გუშინ სახ. სათათ. დეპუტატის ტიტოვის თავმჯდომარეობით მოხდა თათბირი ბანკის წარმომადგენლებისა, რომელთაც განაცხადეს, რომ ყველანი მხარს უჭერენ აღმასრულებელს კომიტეტს და რომ მზად არიან ყოველისფერში მხარი დაუჭირონ მას. დადგენილია დღეიდან ყოველი ბანკი გაიხსნას.

მეფის მსახურნი

პეტროგრადი. 4 მარტი. მეფის მოიჯარადრენი საჩქაროდ უარს აცხადებენ ამ თანამდებობაზე. ხალხის მოთხოვნილებით მეფის ყველა მოიჯარადრენი განდევნეს და ღერბები ჩამოჰხსნეს. საზამთრო სასახლის მოსამსახურეებმა ახალ მთავრობას ერთგულება შეჰფიცეს.

მიმოსვლა პეტროგრადში

პეტროგრადის უფროსმა ბრძანება გასცა—მეეტლეებმა მოძრაობა დაიწყეთო. მეეტლეები ნიხრის შეცვლას თხოულობენ. ქალაქის საბჭომ თხოვნა შეუსრულა. მოძრაობა დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე სწარმოებს. ტრამვაის მოძრაობა ორშაბათამდე არ დაიწყება.

პეტროგრადის ამბები

გენ. კარნილოვის ჩამოსვლამდე პეტროგრადის ჯარის დროებითმა მთავარსარდალმა ანოსოვმა ბრძანებით გამოაცხადა: ყოველდღე უფრო და უფრო მყარდება წესიერება ჯარში. გულითადს მადლობას უხდის პეტროგრადის გარნიზონს ასეთის აღფრთოვანებისთვის და იმედს გამოსთქვამს, რომ წესიერებას დაიცავენ და თავიანთ მთავარ მოვალეობას მოიხდიან სამშობლოს წინაშე და ფრონტზე შეებრძოლებიან სასტიკ მოწინამღმდეგეს. ეს მოწინაამღმდეგე გაუმაძღარის თვალით უმზერს ვითომდა ჩვენს სისუსტეს და იჩქარის ჩვენის სამშობლოს დასაპყრობადო. გენერალი დარწმუნებულია, რომ შორს არ არის ის მომენტი, როცა ჯარისკაცი ფრონტზე და მუშა დაზგაზე შეუქმნიან რუსეთს დიდებას და ბედნიერებას.

რევოლიუციონერთა კონფერენცია.

პეტროგრადის სოციალისტრევოლიუციონერთა კონფერენციამ 2 მარტს 1917 წელს შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: 1) ვინაიდან კონტრრევოლიუციის შიში ჯერ კიდევ დიდია, მორიგ საკითხად უნდა ჩავთვალოთ დაპყრობილ უფლებათა განმტკიცება. კონფერენცია უცილობლად სთვლის მხარი დაუჭიროს დროებით მთავრობას და მის პოლიტიკურს პროგრამას, რომელიც გამოიხატება საყოველთაო ამნისტიაში, პიროვნების თავისუფლებაში, წოდებრივ დაყოფვის მოსპობაში, რწმენისა და ეროვნების მიხედვით უფლებათა შეზღუდვის გაქარწყლებაში და დამფუძნებელი კრების მოხდენაში. 2) კონფერენცია სალამს უძღვნის დროებით მთავრობის წევრს კერენსკის, იუსტიციის მინისტრს, როგორც ხალხისა და თავისუფლების დამცველს. სრულს ნდობასთან ერთად სწამს, რომ იგი უკვდ შეეფასებს დღევანდელ მომენტს და საჭიროების მიხედვით მოიქცევა. 3) პოლიტიკურ უფლებათა გამკვიდრებისა და სოციალისტ-რევოლიუციონურ იდეათა გასაფრთოვებლად კონფერენცია მოუწოდებს ს.-რევ. პარტიის ყველა წევრებს მხურვალე მონაწილეობა მიიღონ მუშათა დეპუტატების საბჭოში, გლეხთა კავშირებში და ყველა იმ ორგანიზაციებში, რომელთაც მიზნათ დაუსახავთ ხალხის ინტერესების დაცვა. 4 დროებით მთავრობას უჭერს რა მხარს, იმავე დროს ეცდება დამფუძნებელი კრების სწრაფ მოწვევას, რესპუბლიკანურ მმართველობის შემოსაღებად, რაც ესერთა პროგრამა-მინიმუმშია დახატული.

ჯარის პარადი

მოსკოვი. 4 მარტი. წითელ მოედანზე დღეს მოსკოვის რაიონის ჯარის პარადი მოხდა. პარადი მიიღო პოლკოვნიკმა გრუზინოვმა, რომელიც დროებით მოსკოვის გარნიზონის უფროსად არის დანიშნული. პარადს უფროსობდა ალექსანდრეს სამხედრო სასწავლებლის გამგე გენერალ-ლეიტენანტი გენიშტა. პარადს დაესწრო: მოსკოვის აღმასრულებელი კომიტეტი, მოსკოვის ქალაქის თავი, სახელმწიფო სათათბიროს კომისარი ჩელნოკოვი, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ლეონტიევი, მოკავშირე სახელმწიფოების კონსულები და სხ. პარაკლისის შემდეგ პროტოდიაკონმა როზოვმა მრავალჟამიერ წარმოსთქვა ახალ ფორმულით. ჯარისკაცებს წითელი კოკარდები და წითელი ბანტები ჰქონდათ. მოედანი ხალხით იყო გაჭედილი. ცალკე ჯგუფებს ხელში წითელი დროშები და პლაკატები ეჭირათ, სადაც ხალხის თავისუფლება და რესპუბლიკას დაარსების ფორმულა იყო აღბეჭდილი. ჯარი ფრონტით მინინისა და პოჟარსკის ძეგლისკენ იყო მიბრუნებული.

ახალი მთავრობის გაზეთი

პეტროგრადი. 4 მარტი. 5 მარტიდან პეტროგრადში გამოდის ახალი გაზეთი: „დროებითი მთავრობის უწყება“. ამ გაზეთის პირველს ნომერში სხვათა შორის შემდეგი სწერია: 26 თებერვლიდან 5 მარტამდე არავითარი მნიშვნელოვანი შეტაკება არ მომხდარა. კერძოდ ბალტიის ზღვასა, შავს ზღვასა და თეთრს ზღვაზე მტრის ფლოტს არავითარი მნიშვნელოვანი აქტივობა არ გამოუჩენია. ბალტიის ზღვაზე გერმანელთა ფლოტის აქტივობა საბედნიეროდ სქელმა ყინულმა შეაფერხა.

რევოლუციის მსხვერპლი

მოსკოვი, 4 მარტი. დღეს დამარხეს რევოლუციის სამი გმირი, რომელთაც თავი დასდეს რუსეთის თავისუფლებისათვის,—ესენი არიან ჯარისკაცები, სამხედრო მოტოციკლისტების სკოლის მოსწავლეები, დახოცილნი 1 მარტს ქვის ხიდზე ძველი მთავრობის მომხრეებთან შეტაკებაში: ივანე სამსონოვი, ვასილი მიტკოვი და ანანია უროსო. პროცესიას დიდებული ხასიათი ჰქონდა, წინ მიდიოდნენ მუშები წითელი ბაირაღებით და რევოლუციური პლაკატებით; შემდეგ ჯარი ასამდე გვირგვინით; ქალებს ყვავილების თაიგულები ეჭირათ ხელში. შემდეგ ეტლს საავტომობილო როტა მისდევდა აფიცრების მეთაურობით. წესრიგი საუცხოვო იყო უთვალავი ხალხის მიუხედავად. სალდათები ყულაბებით ფულს აგროვებდნენ იმ „ჯარისკაცების სასარგებლოდ, რომელთაც თავი დასდეს თავისუფლებისათვის“. პროცესიაში მონაწილეობას იღებდნენ აღმასრულებელი კომიტეტის დელეგატები: კიშკინი, ფილატიევი, შადირინი და ბერკენგეიმი. მიცვალებულთა საფლავზე აღმასრულებელი კომიტეტისა და მუშათა დეპუტატთა საბჭოს სახელით გვირგვინები დააწყეს. სიტყვები წარმოსთქვეს მოსკოვის გარნიზონის პოლკოვნიკმა გრუზინოვმა, ჩელნოკოვმა, კიშკინმა და მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარემ კინჩუკმა. აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა ძეგლი დაუდგას დაკრძალულთ, ხოლო მათი ოჯახები უზრუნველჰყოს.

მთავარსარდლის დეპეშა

თბილისი. მთავარსარდალი დეპეშას უგზავნის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს: გთხოვთ, თქვენო ბრწყინვალებავ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ყოველ ღონეს ვიხმარ დავიცვა დისციპლინა და წესიერება ჩემდამი რწმუნებულ ჯარში, რაიც მტერზე გამარჯვების თავდები იქნება. დარწმუნებული ვარ თქვენც თქვენის მხრით გააკეთებთ ყველაფერს, რაც დამოკიდებულია მთავრობაზე გამარჯვების უზრუნველსაყოფად, აღადგენთ წესიერებას და აამუშავებთ ქარხნებს და ყველა დაწესებულებებს, რომელნიც ჯარისთვის და ფლოტისთვის მუშაობენ. **უმაღლესი მთავარსარდალი.**

ინგლისის ელჩის მოლოცვა

თბილისი, 5 მარტი. რუსეთში მყოფმა ინგლისის ელჩმა მოულოცა დიდს მთავარს ნიკოლოოზ ნიკოლოზის ძეს შემდეგის ლექსით: „უკვე გავიგე, რომ თქვენმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ იკისრა უმაღლესი ხელმძღვანელობა მთელი რუსეთის ჯარებისა. დიდის ამბით მოველი თქვენს მობრძანებას. ჩემი კოლლეგების დავალებით, რომელნიც ვიმყოფებით უმაღლეს მთავარსარდლის სადგომში, გაუწყებთ, რომ ველით თქვენი იმპერატორებითი უმაღლესობა მალე მობრძანდეს და გვიბრძანოს, თუ როგორ მოვიქცეთ. მზად ვართ ყოველი თქვენი სურვილი სისრულეში მოვიყვანოთ“.

უმაღლესმა მთავარსარდალმა უპასუხა: „გულწრფელ მადლობას გიხდით თქვენ და ყველა ჩვენ მოკავშირეთა წარმომადგენლებს მოლოცვისათვის. მრწამს, რომ ყველანი დამეხმარებით თანხმობით ვიმოქმედოთ ჩვენც და ჩვენმა მოკავშირეებმაც, რაიც ასე რიგად საჭიროა წარმატებისა და გამარჯვების დასაგვირგვინებლად. დიდი მთავ[illegible].

მოქალაქეთა მილიცია პეტროგრადში

პეტროგრადი, 4 მარტი. პეტროგრადში წესიერების დასამყარებლად შესდგა მოქალაქეთა მილიცია. მილიციონერები უკვე იარაღდებიან.

ვექილები ბოქაულების როლში

სარატოვი, 4 მარტი. ქალაქში სიწყნარეა, წესრიგს სამხედრო პირები და მილიციონერები იცავენ. ნაფიც ვექილთა საბჭოს წინადადება მიეცა თავის წრიდან ბოქაულები აირჩიონ.

იტალიის ხმა

რომი, 4 მარტი. გაზეთებისა და პოლიტიკური წრეების აზრით რუსეთის რევოლიუცია ამტკიცებს მეგობრულს განწყობილებას რუსეთსა და იტალიას შორის. რევოლუციის წყალობით ხალხი მთელ თავის ნიჭსა და ხასიათს გამოიჩენს, ამას კი კოლოსალური მნიშვნელობა აქვს ომისათვის. იტალია და მოკავშირეები სრული ნდობით ეპყრობიან რუსის ხალხსა და არმიას, რომელიც ერთსულოვნად გამარჯვებისაკენ მიისწრაფვის. გერმანული შტაბი პატრიოტულად აღფრთოვანებულ ხალხს შეეჯახება თუ რუსის ფრონტისაკენ იბრუნა პირი.

ხელოვნების დაცვა

პეტროგრადი, 5 მარტი. მაქსიმე გორკის თავმჯდომარეობით ხელოვნების მოღვაწეების თათბირი მოხდა სასახლეებისა და მხატვრული ქონების დასაცავად. დროებითმა მთავრობამ კომისარიატი შეადგინა ზემოდ დასახელებული მიზნისთვის. კომისარიატში შემდეგი პირები შედიან: ნეკლიუდოვი, შალიაპინი, გორკი, ალ. ბენუა, დობუჟინსკი, რერიხი, ფომინი და პეტროვო ვოლკინი.

პროვინციაში

ტულა, 4 მარტი- მთელი ჯარი ხალხს შეუერთდა. სიწყნარეა. მაღაზიები ღიაა. მუშაობა გრძელდება. ჟანდარმერიის და მაძებელი პოლიციის უფროსები დატუსაღებულია.

ვორონეჟი. 5 მარტი. მილიცია მოეწყო. პოლიცია დატუსაღებულია. აღძრულია საკითხი რომ პოლიციელები ფრონტზე გაიგზავნოს.

ოდესსა, 4 მარტი. ტახტიდან გადადგომის აქტმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა და ყოველი შიში გაჰფანტა. შავრაზმელების მეთაურები ქალაქიდან მიდიან.

ქვანახშირის საკითხი

ხარკოვი, 4 მარტი. სპარსეთ-რუსეთის მთამადნეულობის წარმოების საბჭომ დონეცის რაიონის მრეწველებს შემდეგი მოწოდებით მიმართა, თქვენ გაწევთ საპასუხისმგებლო როლი, მთელი ქვეყანა და რკინის გზები სათბობი მასალით უზრუნველჰყოთ. ეცადეთ, რომ ლითონისა და ქვანახშირის წარმოება უმაღლეს წერტილამდე აიყვანოთ.—ქარხნებში მიტინგები იმართება, ქუჩებში მანიფესტაციები. სამღვდელოება ხალხს ცვლილების მნიშვნელობას უხსნის. დამცველი განყოფილების საქმეებს კონფისკაცია უყვეს.

მეფისა და მის საგვარეულოს სურათები სამინისტროში

პეტროგრადი. 4 მარტი. იუსტიციის მინისტრის განკარგულებით სამინისტროს შენობაში ჩამოხსნილია ნიკოლოზ II-ის სურათები, მასთან მოხსნილია სურათები ალექსანდრა თეოდორეს ასულისა, ყოფილი მემკვიდრისა და დიდი მთავრისა. ასევე განკარგულებაა მოხდენილი, რომ უწყების მოხელეებმა აღარ ატარონ არავითარი ლენტი, ორდენი თუ სხვა რამ წარმატების ნიშნები.

პეტროგრადის ქალაქის უფროსი პროფესორი იურევიჩი არჩეულ იქმნა სამხედ.-საექიმო აკადემიის უფროსად.

დღეს დატუსაღებულ იქმნა გერცენშტეინის მკვლელი იუსკევიჩ-კრასოვსკი.

აფიცრები აღმასრულებელ კომიტეტისა

პეტროგრადი. 4 მარტი. გენერალურ შტაბის უმაღლეს სამმართველოში ჩვეულებრივი მუშაობა გრძელდება. აფიცერთა ერთი ნაწილი სახელმწიფო სათათბიროში გაიგზავნა, რათა აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა ხელმძღვანელობის ქვეშ იმოქმედონ.

რევოლუციის მოწინააღმდეგეთა დატუსაღება

თავრიდის სასახლეში დატუსაღებულნი არიან 1905 წლის მოძრაობის ჩამქრობი ციმბირში, რენენკამფი, პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი ვასილიევი, ჟანდარმების პოლკოვნიკები გორლენკო და ტიუფიევი და ღენერალი ნევრაჟინი, პროტოპოპოვის განკარგულებაში რომ იმყოფებოდა.

დატუსაღეული სამინისტრო პავილიონში

სახელმწიფო სათათბიროს სამინისტრო პავილიონში დატუსაღებულებმა მთავრობას სთხოვეს, რათა ისინი იუსტიციის მინისტრის განკარგულებაში იქმნენ დატოვებულნი და მადლობა გადაუხადეს მთავრობას ზრდილობიან მოპყრობისათვის.

ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურენი მუშაობა და მუშები

3 მარტს მუშათა დეპუტატთა საბჭომ გაადგინა წინადადება მისცენ ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთ და ავტომობილებზედ მომუშავეთ, რომ მუშაობა განაგრძონ.

გადაწყდა შესდგეს კომისია იუსტიციის მინისტრის ხელმძღვანელობით, რომელმაც უნდა განიხილოს აფიცერთა და ჯარის კაცთა საურთიერთშორისო დამოკიდებულება.

ფული განთავისუფლებულ ტუსაღებს

განთავისუფლებულ პოლიტიკურ ტუსაღთათვის და რევოლიუციის დროს მოკლულთა ოჯახებისათვის შეკრიფა 200 ათასი მანეთი.

სამხედრო მინისტრის ბრძანება

პეტროგრადი. 4 მარტი. სამხედრო მინისტრმა ა. ი. გუჩკოვმა 4 მარტს 1917 წელს სამხედრო სამინისტროში ბრძანება გასცა: I პუნქტი: 1 ამ თვეს სამხედრო მინისტრის თანამდებობას შევუდექ. II პუნქტი: სამხედრო სამინისტროთა მთავარსა და განყოფილებების მართველობის ყველა უფროსებს და მოხელეებს: დარჩნენ ადგილებზე თავიანთ თანამდებობის აღსასრულებლად და მიიღონ ზომები, რომ მათდამი რწმუნებულმა ნაწილებმა მუშაობა დაიწყონ ფართედ წესიერების დაურღვევლად საქმის წარმოების დროს. III პუნქტი: ახალ განკარგულებამდე წინადადება გაძლევთ დაიცვათ დადგენილი წესრიგი საქმის წარმოებაში და ჩემდამი საქმის წარმოდგენაში. IV პუნქტი: სამეფოს მართველობის წესრიგის შესახებ შესაფერ კანონმდებლობითი აქტის გამოცემამდე წინადადებას გაძლევთ: 1) ის კანონმდებლობა, რომელიც სამხედრო საბჭოს ხელშია გავლილი და დამტკიცებული იყო უმაღლეს მთავრობისაგან, ძალაში შედის სამხედრო საბჭოს დამტკიცების შემდეგ. 2) წარდგენის საქმეები დაჭრილთა შესახებ უნდა წარედგინოს სამხედრო საბჭოს. უმაღლესი ბრძანებანი სამხედრო პირთა და სამხედრო მოხელეთა შესახებ შეიცვალოს შემდეგის ბრძანებით: ბრძანება არმიისა და ფლოტისადმი სამხედრო პირთა შესახებ სახმელეთო უწყებისა და ბრძანება არმიასა და ფლოტისადმი სამხედრო მოხელეთა შესახებ სახმელეთო უწყებისა. V პუნქტი. კანონმდებლობანი და დადგენილებანი და აგრეთვე უმაღლესი ბრძანებანი, რომელიც გამოქვეყნებული არ არის, გამოქვეყნდეს. ხელს აწერს სამხედრო მინისტრი ა. გუჩკოვი. ნამდვილია. საქმის მწარმოებელი პოლკ. ბელოპოლსკი.

განკარგულება ცარიცინში

ცარიცინი, 3 მარტი. გადაწყვეტილია დაარსდეს სამხედრო კომისია: არჩეულ იქმნებიან ორ-ორი ოფიცერი თვითეულ პოლკიდან, ხოლო სტუდენტთა ბატალიონიდან ორ-ორი წარმომადგენელი დაესწრება ყოველს კრებაზე. დროებითმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა დაკეტილ იქმნეს მაღაზიები, ტრაქტირები და სავაჭრო დაწესებულებანი საღამოს 7 საათიდან. ქუჩაში გამოსვლა 8 საათიდან აღკრძალულია. ტრამვაის მოძრაობაც 8 საათ. შეიძლება. საღამოთი ყოველგვარი კრება აკრძალულია.

გუჩკოვის განკარგულება

პეტროგრადი. სამხედრო მინისტრმა გუჩკოვმა განკარგულება მოახდინა სწრაფად შემუშავდეს კანონპროექტი ყოველგვარ ეროვნულ, პოლიტიკურ და სხვა შეზღუდვათა გაუქმებისა ჯარში, განსაკუთრებით ისეთ შეზღუდვათა გაუქმება, რომელიც ეხება ჯარის კაცთა და აფიცერთა წარმატებას.

უხვი შეწირულება

პეტროგრადი. ინჟინერმა დუნისოვმა სათათბიროს თავმჯდომარე მ. ვ. როძიანკოს ცარსკოე სელოდან აცნობა, 1 მილიონ მანეთი შემომიწირავს თქვენს განკარგულებაში რუსეთის განთავისუფლების მომენტის საჭიროებისათვის.

სწავლის გაგრძელება

მოსკოვი, 4 მარტი. აღმასრულებელმა კომიტეტმა მოწოდებით მიჰმართა საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთ, ნუ შესწყვეტთ სწავლას, არეულობას ნუ მოახდენთ, ვინაიდან განახლებულს რუსეთს დიდად ესაჭიროება განათლებული ხალხი. ამასთანავე მიჰმართავს, ორშაბათიდან შეუდგნენ წესიერს სწავლას.

პიროგოვის საზოგადოების კრებაზე გადაწყდა მიესალმოს ახალს მთავრობას და თანაც დაბეჯითებით ეთხოვოს სიკვდილით დასჯა მოსპობილ იქმნესო.

ჟანდარმები ჯარში გაჰყავთ

პეტროგრადი. დროებითმა მთავრობამ დაადგინა დაუყოვნებლივ გააუქმოს ჟანდარმთა კორპუსი და დამცველი პოლიცია. მათგან ყველა ჯარის კაცები დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდნენ სამხედრო საკრებულოს უფროსთან. ვარგისებს მყის გაჰგზავნიან ბრძოლის ველზე.

სვინხუვუდის განთავისუფლება

პეტროგრადი. იუსტიციის მინისტრმა კერენსკიმ განკარგულება გასცა გაანთავისუფლონ ფინლანდიის სეიმის თავმჯდომარე სვინხუვუდი და პეტროგრადში ჩამოიყვანონ.

მიტროპოლიტების გადაყენება

პეტროგრადი. ობერ-პროკურორის განკარგულებით პეტროგრადის მიტროპოლიტი პიტირიმი და მოსკოვისა მაკარი თანამდებობიდან გადააყენეს. პეტროგრადის მიტროპოლიტად ეპისკოპოსი ილიდორე დანიშნეს, ლადოჟისად—უფის მთავარ-ეპისკოპოსი ანდრია.

გუბერნატორების გადაყენება

პეტროგრადი. თ-მა ლვოვმა საგუბერნიო საერობო სამმართველოებს შემდეგი ცირკულიარი დაუგზავნა დეპეშებით: დროებითმა მთავრობამ საჭიროდ სცნო ყველა გუბერნატორები და მათი თანაშემწენი თანამდებობიდან გადადგნენ და მათი თანამდებობა დროებით დაეკისროს საგუბერნიო ერობათა სამმართველოების თავმჯდომარეებს, სამაზრო-საერობო სამმართველოთა თავმჯდომარეთ დაეკისრებათ სამაზრო კომისარობა დროებით მთავრობისა. პოლიციის მაგიერ თვითმართველობის განკარგულებით მილიცია არსდება.

ომის დეპეშები

6 მარტი

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი. ოფიციალი ცნობა მთავარ ბანაკიდან. დასავლეთის ასპარეზი. ნაროჩის ტბის სამხრეთით 3 მარტს ღამე მოპირდაპირემ გაზით გატენილი ყუმბარები დაგვიშინა.

რუმინეთის ასპარეზზე სროლაა.

კავკასიის ასპარეზი. ოგნოტის მიდამოებში, ოგნოტის დასავლეთით 15 ვერსზე, ჩვენმა მზვერავმა რაზმებმა ოსმალები იფრინეს და სოფელი ვარაბი აიღეს; აქ ხელთ იგდეს პატრონების საწყობი და ხელის ყუმბარები. საკიზის მიმართულებით ჩვენი ჯარი მკერდამდე თოვლს მიაპობდა; სოფ. სურანთან ოსმალები იფრინა და ეს ადგილი დაიპყრო. ოსმალების დევნის დროს ჩვენი ჯარი ბანაში შევიდნენ. ჩვენს ჯარს მეტად მძიმე პირობებში უხდება მოქმედება: ცხენიან კაცზე მაღალი გაჭრილი თოვლის ბილიკები ნამქერით ივსება. ამ არემარეში სოფლები არ მოიპოვება და ჯარი თოვლის ბუნაგებშია მოთავსებული.

პეტროგრადი. დასავლეთის და რუმინეთის ასპარეზებზე სროლა და მზვერავთა მოქმედებაა. რიგის სამხრეთ-დასავლეთით „ცეპელინმა“ ყუმბარები ჩამოჰყარა.

კავკასიის ასპარეზი· სივასის მიმართულებით, მალკურის არე-მარეში, კალკიტის სამხრეთ-დასავლეთით 25 ვერსზე, ჩვენმა დარაჯებმა ოსმალების მზვერავთა შემოტევა ხიშტებით და სროლით მოიგერიეს. სენედან 6 სამთო ზარბაზნით და და 3 ესკადრონით ქერმანშაჰისკენ მიმავალ ოსმალთა ორ ბატალიონს ჩვენი ცხენოსანი ჯარი გადაეღობა სოფ. კამიორანთან. ოსმალები დაიბნენ და დასავლეთისაკენ მიუხკიეს უგზო-უკვლოდ მთებისაკენ, ჯევანრუდის მიმართულებით, ქერმანშაჰს ჩრდილო დასავლეთით. ჩვენი ჯარი ფეხდაფეხ მისდევს. სოფ. მაიდეშტთან, ქერმანშაჰის დასავლეთით, სრულიად მთლიანი ხიდი დავიჭირეთ. მოპირდაპირე სცდილობს ქედთან გამაგრდეს. 28 თებერვალს ამ ქედთან ბრძოლა იყო. ჯერ მიღებული არა გვაქვს ცნობა ბრძოლის შედეგისა.

ლონდონი. 5 მარტი. ოფიციალი. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ აღებულ იქმნა ბაპომი. მტერმა ქალაქი სისტემატიურად გაჰზიდა. ყველა კერძო სახლი და საზოგადო დაწესებულება დანგრეულია. მთელი დღის განმავლობაში სომის ორივე ნაპირებზე საკმაოდ წავიწიეთ. სომის სამხრეთით 16 მილის სიგრძეზე წავიწიეთ. ავიღეთ სოფ. ფრანი, ორნი, ვილიერ, კარბონელი, ბარლე, ეტერპინი და ლა-მეზონეტი. სომის ჩრდილოეთით ავიღეთ სოფ. ლეტრანსლუა, ბიეველერი, ბუკუა, ესარი, ამის გარდა კენუა, 1500 იარადის გასწვრივ, ესარის ჩრდილო დასავლეთით უკვე მტრის თხრილების მეორე ხაზს მივაღწიეთ. 2 ტყვიის მფრქვეველი დავლად დავგრჩა, რამდენიმე ტყვეც ჩაგვივარდა.

უკანასკნელი ცნობები

პეტროგრადში ხმა გავრცელდა, რომ ტახტიდან გადამდგარი ნიკოლოზ რომანოვი ლივადიაში გაემგზავრაო.

—

აფიცრების დეპუტატებმა გადაწყვიტეს გამოსცენ ახალი გაზეთი „სახალხო არმია“.

—

დამტკიცებულია ის ფაქტი, რომ პოლიციელებს პეტროგრადში დახვრილი ტყვიები უსვრიათ ხალხისთვის.

—

პლეხანოვსა და კროპოტკინს გარდა დეპეშა გაეგზავნა პარიზის ჟურნალის „პრიზივის“ რედაქციას, რომ რუსეთში დაბრუნდეს.

—

გრუზინოვმა განკარგულება გასცა, რომ აფიცრებმა და ჯარის კაცებმა წარმომადგენლები აირჩიონ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კომიტეტში.

—

მოსკოვში ტრამვაი კიდევ არ მუშაობს, რადგან მუშათა დეპუტატების საბჭომ დაადგინა, რომ იმ მუშებმა, რომელნიც თავდაცვისთვის არ მუშაობენ ჯერ-ჯერობით ხელში იარაღი იქონიონ.

—

საზოგადოებრივ დაწესებულებათა კომიტეტმა დაადგინა, რომ შეუძლებელია რაიმე მონარქიული წესწყობილების დამყარება დამფუძნებელი კრების მოწვევამდე; მთელი უფლება დროებით მთავრობას უნდა ეკუთვნოდეს.

—

„დენის“ ცნობების თანახმად საზამთრო დარბაზის აღების დროს მოუკლავთ სასახლის ჯარის უფროსი შილდკნეხტი, რომელმაც წინააღმდეგობა გაუწია მოსულთ თავისსავე ოთახში მოჰკლეს გენერალი შტაკელბერგი, რომელიც ჯერ ნებას დაჰყვა, დაგნებდებითო და გამოგყვებით სათათბიროშიო, მაგრამ მეორე ოთახში შესვლისთანავე ტყვიისმფრქვეველებიდან დაიწყო სროლა.

—

„უტრო როსიი“-ს მეთაურში ლაპარაკობენ: დამფუძნებელი კრება მხოლოდ ომის შემდეგ იქმნეს მოწვეულიო.

—

მოსკოვში დატუსაღებულ პოლიციელთა ადგილას ნაფიცი ვექილები და მათი თანაშემწენი დააყენეს.

—

ცნობილი შავრაზმელი ვოსტორგოვი დატუსაღებულ იქმნა თავის ბინაზევე, მაგრამ მის განცხადებაზე, რომ ახალ მთავრობის მომხრე ვარო, ისევ გაანთავისუფლეს.

დეპეშები

(საკუთარ კორესპონდენტებისაგან)

მოსკოვი. 4 მარტი. მოსკოვის ყველა საქმეებს განაგებს საზოგადოებრივ დაწესებულებათა აღმასრულებელი კომიტეტი ვიშკინის თავმჯდომარეობით. დაარსდა შეერთებულ ეროვნებათა ორგანიზაციების საბჭო. ქართველების წარმომადგენლად ერთხმად არჩეულია ექიმი ზანდუკელი, რომლის წინადადებით საბჭომ გადასწყვიტა სთხოვოს კომიტეტს, რომ მან ყველა ეროვნების წარმომადგენელი შეუშვას კომიტეტში. ზანდუკელს მიანდვეს მოსკოველ ქართველთა ორგანიზაცია. ბუტირის საპყრობილიდან გამოუშვეს პოლიტიკური პატიმარნი, მათ შორის, ღლონტი, არჩვაძე, ჯაფარიძე. ზანდუკელი ცდილობს დარჩენილ ქართველთა განთავისუფლებას.

კაპანაძე, ზავდუკელი.

—

ქუთაისი. სალამს უძღვენი ახალ ბანკის აქციონერთა პირველ კრებას. ვუსურვებ კრების წევრებს, რომელთაც აღმართეს დროშა ეროვნულ შეგნებისა, ნაყოფიერ შრომას ასაყვავებლად ჩვენის ქვეყნის ვაჭრობა-მრეწველობის, რაიცა მთავარი ფაქტორია სამშობლოს ყოველ კუთხის განვითარებისა. გაუმარჯოს ახალ ბანკს და ყოველ ქართულ კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებას.

პურადაშვილი.

ახალი ამბავი

✦ **ძველის მთავრობის შეცვლა თბილისში.** მთავარსარდალი დღეს დილის 10 საათზე გადის თბილისიდან, თან მიჰყავს იანუშკევიჩი, ვოლსკი და ორლოვი. გუბერნატორი და ვიცე-გუბერნატორი გადაყენებულია; პოლიცია სრულებით გაუქმებულია. დამცველად ქალაქსა ჰყავს 12000 ჯარისკაცი, რომლებთაც, უმთავრეს აფიცრებითურთ ქალაქის წარმომადგენელს გუშინ 6 მარტს გამოუცხადეს, რომ სრულიად უერთდებიან ახალ რევოლიუციონურ მთავრობას და დაიცავენ სრულს სიმშვიდეს და მყუდროებას მთელს ქალაქში. შესდგა თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი, რომელშიაც შედიან: ათი ქალაქის ხმოსანი და ათიც მუშათა წარმომადგენლები მუშათა საბჭოს დეპუტატები. ესენი ჯარების წარმომადგენლებთან ერთად შეადგენენ ქალაქის გამგებლობას. ესევე კომიტეტი იწვევს არსებულ პარტიათა წარმომადგენლებს, რომელთაც გადამწყვეტი ხმა ექნებათ. ესეთი კომიტეტი უკვე შესდგა და შეუდგა ქალაქს პატრონობას.

✦ **საქალაქო პოლიციის ხელმძღვანელობა** ქალაქის გამგეობამ 5 მარტს, საღამოს, მიანდო გამგეობის წევრს მ. ნ. ათაბეგოვს. მაგრამ ბ-ნი ათაბეგოვი ამ თანამდებობაზე დარჩა გუშინ (6 მარტი) შუადღემდისინ. მუშათა დეპუტატების საბჭომ მოისურვა, რომ პოლიციის ხელმძღვანელობა ჩაჰბარებოდა ბ-ნ ჭიაბრიშვილს, რომელიც გუშინიდანვე უნდა შესდგომოდა ამ თანამდებობის აღსრულებას. ბ-ნი ჭიაბრიშვილი განათლებული და დიდად შეგნებული მუშაა.

✦ **ახალი დროშა.** გუშინ, 6 მარტს, თბილისში სასახლეზე ჩამოხსნეს სამეფო შტანდარტი (დროშა) და იმის ნაცვლად აფრიალდა ახალი დროშა, წმ. გიორგის ლენტის ფერისა, რომელზედაც წარწერილია: „კავკასიის მხედრობა“.

✦ **მიტინგი.** 5 მარტს, საღამოს, ზუბალაშვილის სახალხო სახლში მოხდა სახალხო მიტინგი, რომელსაც აურაცხელი ხალხი დაესწრო, განსაკუთრებით ჯარის კაცები. რამდენიმე ორატორმა ილაპარაკა და ყველანი ურჩევდენ დამსწრეთ: წეს-რიგი დაიცავით და ახალ რევოლიუციონერ მთავრობას დაეხმარენითო. თუ ვინიცობაა შეამჩნევთ, ვინმე სადმე გამოჩნდა ახალ რეჟიმის მტერი, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ არსებულ ორგანიზაციებს შესაფერ ღონისძიების მიღებისათვისო.

✦ **ნიკოლოზ მეორე,** რუსეთის ნაიმპერატორალი, წარსულ კვირას თბილისის ეკლესიებში აღარ მოიხსენიებიათ წირვის დროს. მის მაგიერ მოიხსენიეს, „მთავრობა სრულიად რუსეთისა“.

✦ **საქალაქო პოლიციის ხელმძღვანელის** განკარგულებით დაიკეტა ღვინის სარდაფები და რესტორან-სასადილოები, საცა-კი ღვინოს ჰყიდიდნენ.

✦ **მისასალმებელი დეპეშები.** კავკასიის ბანკის დამფუძნებელთა კრების დადგენილებით კრების თავმჯდომარემ გ. ჟურულმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა სახელმწიფო სათათბიროსა და დროებით კომიტეტის თავმჯდომარეს მ. როძიანკოს და აგრეთვე რუსეთის მხედრობათა მთავარსარდალს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს.

ამიერ კავკასიის ბანკი

5 მარტს დღის 12 საათზე ამიერ კავკასიის ბანკის ბინაზე ლორის მელიქოვის ქუჩაზე გაიხსნა პირველი საზოგადო კრება ბანკის აქციონერთა. კრებას დაესწრო აქციონერთა დიდი ნაწილი ჩვენის ქვეყნის ყველა კუთხიდან. საზოგადო კრება გახსნა ბანკის დამფუძნებელმა წევრმა ე. ი. ფორაქიშვილმა. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა გ. ღ. ჟურული და მდივნად გ. გვაზავა. თავმჯდომარემ აქციონერებს შესაფერისი მისალმებით მიმართა და მიულოცა მას დიად ეროვნულ საქმის ღირსეულად დაგვირგვინება. ამის შემდგომ წაკითხულ იქმნა მისალმების დეპეშები ახალ მთავრობის მეთაურებისა და მთავარსარდლის სახელზე.

კრებამ მოისმინა და ერთხმად დაამტკიცა სარევიზიო კომისიის მოხსენება შესახებ საორგანიზაციო კომიტეტის მუშაობისა. კრებამ ერთხმად მიიღო საბჭოს წევრთა რიცხვის 24-დე გადიდების წინადადება და ბანკის საჭიროებისათვის უძრავ ქონების შეძენის უფლება დართო გამგეობას და საბჭოს. დამტკიცებული იქმნა ამიერ კავკასიის ბანკის ხარჯთ-აღრიცხვა მიმდინარე 1917 წლისთვის. გამგეობის წევრებს, ამ ხარჯთ-აღრიცხვით, დაენიშნათ თითოს ათი ათასი მანეთი წლიურად. გამგეობის თავმჯდომარის ჯამაგირის შესახებ წამოყენებული იყო რამოდენიმე წინადადება, თხოულობდნენ—12, 16, 18 და 24 ათას მანეთს კრებამ თავმჯდომარეს 24 ათასი მანეთი დაუნიშნა. დასასრულ, მოხდა არჩევნები.

საბჭოს წევრებად არჩეულ იქმნენ:

თბილისიდან. თ-დი ვაჩნაძე, ლევან ალექსანდრეს ძე, ძეგველოვი ალექსანდრე მიხეილის ძე, ელიაშვილი ივანე სპირიდონის ძე, მელიქიშვილი ნიკოლოზ მიხეილის ძე, მუსხელიშვილი ვახტანგ სოლომონის ძე, ფორაქიშვილი, სიმონ ილარიონის ძე, ხარაშვილი ილია მიხაილის ძე, ჭავჭანიძე ერასტი ივანეს-ძე, კვეზერელი-კოპაძე ივანე ნიკოლოზის-ძე, კიზირია პეტრე ბესარიონის ძე, თ-დი ჩიქოვანი ლევან ვლადიმერის ძე, წვერავა ნიკოლოზ ესტატეს ძე.

ბაქოდან: თ-დი დადიანი იოსებ იულონის ძე, ჯაყელი იოსებ ნიკოლოზის ძე, იოსელიანი ნიკოლოზ პეტრეს ძე, მუხტაროვი აღა მურტუზა, მამულაიშვილი ლევან ქაიხოსროს ძე, თ-დი ფაღავა იური მექის ძე, ხოშტარია აკაკი მეთოდეს ძე.

ქუთაისიდან: ბარაბაძე ნესტორ სერგიას ძე, ელიგულაშვილი არონ იაკობის ძე, ქავთარაძე ანდრია ლევანის ძე, პაპავა ბარნაბა ამბაკოს ძე, სხირტლაძე დავით სიმონის ძე (კავკავიდან).

ამის შემდგომ, თანახმად წესდებისა, ახლად არჩეულ საბჭოს გამგეობის წევრთა კანდიდატები უნდა დაესახელებინა აქციონერთა კრებისთვის. ამის გამო კრება საღამოს 8 საათამდე გადაიდვა. საბჭომ გამგეობის წევრებად დაასახელა: **თ-დი იახონ მერაბის ძე ლორთქიფანიძე, რაჟდენ ყარამანის ძე დათეშიძე და დავით ვასილის ძე, ქუთათელაძე,** რომელნიც არჩეულ იქმნენ აქციონერთა დიდი უმრავლესობით.

ბანკის **სარევიზიო კომისიის** წევრებად არჩეულ იქმნენ: **თ-დი ი. ზ. ანდრონიკაშვილი, გ. დ ჟურული, ი. თურქია, ა. დეკანოზიშვილი, ი. სტურუა.**

ამიერ კავკასიის ბანკის ახლად არჩეულ გამგეებს კარგად იცნობს ქართველი საზოგადოება. **თ დი ი. მ. ლორთქიფანიძე** პროფესიით ვექილია. ის, დიდი ხანია, სათავეში უდგას კავკავის საურთიერთო ნდობის საზოგადოებას, როგორც თავმჯდომარე. და მის მეთაურობით ეს საკრედიტო დაწესებულება მეტად გაძლიერდა. თ-დი ლორთქიფანიძე კარგად იცნობს ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებას და ამიერ კავკასიის ბანკის დაარსებაში მას მხურვალე მონაწილეობა მიუძღვის. ახალი ბანკის თავმჯდომარედ მას თავიდანვე ასახელებდნენ და მისი კანდიდატურას აქციონერები ყველანი თანაგრძნობით შეხვდნენ.

რ. ყ. დათეშიძე—ცნობილი მრეწველი და საბანკო მოღვაწეა. მის მეთაურობით და ხელმძღვანელობით მეტად დასუსტებული ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოება მძლავრ და მდიდარ საკრედიტო დაწესებულებად იქცა. რ. ყ. დათეშიძეს საზღვარგარედ აქვს მიღებული საკომერციო განათლება. ამიერ კავკასიის ბანკის დაარსებაში ის მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა.

დ. ვ. ქუთათელაძე კარგად იცნობს ჩვენს ეკონომიურ და საზოგადოებრივ ცხოვრებას. ის კარგა ხანს მსახურებდა სახელმწიფოს ხარჯთ-ამკრეფად და ამ უკანასკნელ ხანს დიდი თანამდებობა ეჭირა ბაქოს სახაზინო პალატაში.

ბანკის ახლად არჩეული გამგეობა დაუყონებლივ შეუდგება ბანკის ძირითად თანხის მეორე ნახევარ ნაწილის შედგენას, და ამის შემდგომ ბანკის ოპერაციები დაიწყება.

ჩემი მონაწილეობა კომისიაში საშუალო სასწავლებლებში ადგილობრივ ენების სწავლების გაუმჯობესობის შესახებ

(წერილი რედაქციის მიმართ)

(დასასრული)

იმას შემდეგ, რაც ბ-ნმა ვ. ბარნოვმა მოგახსენათ, თქვენ მაინც ბრძანებთ: „ისევ შეიძლება გავიმეოროთ: მოითხოვდნენ იმას, რაც არსებობს“. გეტყობათ, სწორი წარმოდგენა არ გაქვთ იმაზე, თუ რა არსებობს ეხლა. ეხლა ადგილობრივი ენები არავისთვის სავალდებულო არ არის. ვისაც დაუწყია სწავლა, შეუძლია მიატოვოს, როდესაც დასჭირდება, თუ ცუდად სწავლობს, ეს შემდეგ კლასში გადასვლას არ უშლის, კვირაში ორ-ორი გაკვეთილია კლასში. ხოლო იშვიათად სამ-სამი, მაგრამ იგიც უკეტეს შემთხვევაში მეექვსე გაკვეთილზე არის დანიშნული. ზოგიერთ გიმნაზიაში ქართულის სწავლება მეხუთე კლასს ზევით არ მიდის. ჯამაგირი მასწავლებლისა სულ მცირეა და ამიტომ უმაღლეს სწავლა მიღებული პირები არ კისრულობენ ამ გაკვეთილების აღებას. მაგალითად, ერთ გიმნაზიაში, ქართული ენის მასწავლებელი იღებს 16 გაკვეთილში 900 მანეთს, მაშინ, როდესაც სხვა საგნის მასწავლებელი იმავე რიცხვის გაკვეთილებში ღებულობს 3400 მანეთს. ამას დაუმატეთ, რომ მასწავლებელს არ ეთვლება სამსახური და ვერ დაიმსახურებს პენსიას. არავითარი კანტროლი არ არის, აკეთებს მასწავლებელი რამეს თუ არა. ჩვენი გეგმით კი ქართულს ენას ყველა ის უფლება ეძლევა, რაც მაგალითად რუსულს ენას, თუ სხვას აქვს.

რომ ჩემი ნათქვამი და განცხადება კომისიაში დავაბოლოვო, უნდა კიდევ ერთი რამ მოვიხსენიო. მე აღვძარი კითხვა საგნების განაწილების ცხრილის შესახებ და განვაცხადე: სამინისტროს უკვე შედგენილი აქვს ცხრილი საგნების განაწილებისა კლასებში. ამ ცხრილში თავისუფალი საკმაო დრო არ არის დატოვებული ნამეტნავად უფროს კლასებში, აი ეს იქნება ჩვენი თავი მუშაობა, რომ ისეთი ცხრილი შევადგინოთ, რომელშიაც ადგილობრივი ენების გაკვეთილები საკმაოდ იყოს მოქცეული. მე მგონია ამისათვის ერთ-ერთ უცხო ენაზე უარი უნდა ვთქვათ, ან სხვა საგნების გაკვეთილებს მოვაკლოთ საათები, ან გაკვეთილების ხანგრძლივობა შევამციროთ. ერთი სიტყვით ჩვენი ცხრილი ადვილი მისაღები უნდა გახდეს კანონმდებელთათვის. ამ საგანზე ბჭობა გადაიდვა.

თქვენ, ბ-ნო რედაქტორო, წინეთ „მოღალატედ“ გამოგვაცხადეთ და ეხლა გვარწმუნებთ, რომ „სხვებზე ნაკლებ არა გვცემთ პატივს, რომ როდესაც სიტყვა „ღალატს“ ხმარობდით, რასაკვირველია, საქმის სუბიექტიური მხარე არ გქონიათ მხედველობაში, თქვენ არ ამბობდით, „თითქო ჩვენ წინასწარ განზრახვით და ბოროტის გრძნობით გამსჭვალულებს გაგველაშქროს ქართული ენის წინააღმდეგ“. მერწმუნეთ, ბ-ნო რედაქტორო, ამის მაგიერ, რომ თქვენ გულახდილად გვიბძანათ, ეს შეცდომით მოგვივიდაო და ბოდიში თუ არა, მწუხარება მაინც გამოგეცხადებიათ, უფრო ბევრს მოიგებდით და თქვენს მოქალაქეობას აასრულებდით, თორემ მე რომ დაგიჯეროთ, სხვა არ დაგიჯერებთ და ამ სიტყვებს სოფიზმებში ჩამოგართმევთ. კარგი, ჩვენ ვერ გავიგეთ სიტყვა „ღალატი“ ისე, როგორც თქვენ იხმარეთ მაგრამ თქვენმა მოაზრე „ჩვენმა მეგობარმა“ (№ 287) ხომ ისე გაიგო, როგორც ჩვენ. მერე ვინ? ბ-მა გრიგოლ ლაღიძემ, რომელიც ირწმუნება, რომ სამშობლოს და ქართული ენის სიყვარული მე ჩავუნერგე მას გულში. კიდევ კარგი, რომ მოღალატეს ერთი მადლი მაინც გაგვიხსენა, მთლად თურმე ღმერთი კაცს არ გასწირავს. სამშობლოს სიყვარული კი ჩამინერგავს, მაგრამ ჩემი თავი მისთვის ვერ გამიცვნია (ეს იმის ნიშანია, რომ მე თავის თავზე ნაკლებად ვზრუნავ). აქაო და ერთი კვირე გავიდა, რაც შენ მოღალატედ გამოგვაცხადეს, ხმას არ იღებ და ამიტომ ნამდვილი მოღალატე ყოფილხარო. ჩემი პასუხი ასეთია: მე რომ ვინმემ მითხრას—გრიგოლ ლაღიძემ სამშობლოს უღალატაო, ათს წელიწადს არ დავიჯერებ. რაც შეეხება ხმის ამოღებას, ახლაც ვნანობ, რომ ამ წერილზე დროს ვკარგავ.

აგრეთვე ჩვენსავით გაიგო სიტყვა „მოღალატე“ „თანამედროვე აზრმა“ (№ 41) და ნაღარა დაჰკრა, პატრიოტთა ბანაკში მოღალატენი აღმოჩნდენო, და გეკითხებით, რას ნიშნავს ესო? მაშასადამე, „თანამედროვე აზრსაც“ ისე გაუგია თქვენ მიერ ნახმარი სიტყვა „მოღალატე, როგორც ჩვენ და გრიგოლ ლაღიძეს. ამათ ვერ დავემდურებით, ვინაიდგან თქვენი სიტყვები გაიმეორეს, თქვენი სიტყვა ხალას ოქროდ მიიღეს. „თანამედროვე აზრს“ უნდა გაეგოს, რომელ პარტიას ვეკუთვნი, მოვახსენებ, არც ერთს·

თქვენ, ბ-ნო რედაქტორო, გვარწმუნებთ, რომ თქვენ ჩვენ პატივსა გვცემთ, მაგრამ ჩვენმა მოქმედებამ აგაღელვათ და გახმარიათ სიტყვა „მოღალატე“. ეხლა რომ თქვენმა სიტყვამ და ჩვენ წინააღმდეგ გამოლაშქრებამ ვინმე თქვენი პარტიის ფანატიკოსი აალელვოს, მე და ბ-ნ ივ. ზურაბიშვილს რევოლვერები დაგვახალოს და ამით „მოღალატენი“ წუთისოფელს გამოგვასალმოს, მაგ თქვენი საბუთით მართალი არ იქნება? თუ თქვენ პრესის და პარტიის წარმომადგენელთ არ მოგეთხოვებათ მეტი მოთმინება, მეტი სიდინჯე და მართლის გაგება, გაუნათლებელ ფანატიკოსს, რაღა მოეთხოვება?

ამის შემდეგ გამოდგებით და გვიქადაგებთ: „მეტი სიდინჯე“, „მეტი პატივისცემა უნდა გვქონდეს ერთმანეთისა“, „პიროვნებას არ უნდა შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეხოთო“ და სხვა. ვილა დაგიჯერებსთ ახლა ასეთ ქადაგებას?

დღეს რომ ბ-ნ ივ. ზურაბიშვილს მოღალატეს უწოდებთ და სახელს უტეხთ (ჩემზე აღარ ვიტყვი), ხვალ რომ დაგჭირდეთ თქვენი საქმის დასაცავად (დაგჭირდებათ კიდეც), რა პირით მიხვალთ მასთან? განა ყოველ დღე არ აჩხირებთ ყოველგვარ საეროვნო საქმეში, ყოველ კომისიაში?

რაც შემეხება მე, საყოველთაოდ გულახდილად ვაცხადებ: ოცდა-ათი წელიწადია რაც ცხოვრებაში გამოვედი, მას აქეთ იმ სულ მცირე ძალით, იმ მცირე ღონით, რომელიც მე მაქვს, საეროვნო საქმისთვის, ჩვენი ხალხის კეთილდღეობისათვის და წინწაწევისათვის შეძლებისამებრ ვზრუნავ, შეძლებისამებრ ვმუშაობ, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ ამ მუშაობიდან ბევრი არაფერი გამოდის. არც ერთი საქმე, რომელშიაც მონაწილეობას ვიღებ, ისე ვერ მიდის, როგორც უნდა მიდიოდეს და როგორც მე მესმის და მინდა; შედეგი ზოგჯერ სულ მცირეა, შრომა და დრო ბევრი მიდის, კვალი კი საიმისო არ რჩება. ეს მტანჯავს და გულს მიკლავს მე როცა ჩემს თავს ანგარიშს ვაძლევ. ამის მიზეზი ნათელია: ძლიერ ხშირად ჩვენი საზოგადოება მე ისეთ საქმეებში ჩამრევს ხოლმე, ისეთ საგნებს მაკისრებს, ისეთ რამეს მოითხოვს ჩემგან, რომლისთვის მე არც ცოდნა შემწევს, არც ნიჭი, არც მომზადება, არც გამოცდილება, არც უნარი. ამ შემთხვევაში რომ მე შეცდომა ჩავიდინო, რა გასაკვირველია. ღმერთი, რჯული, მე ჩემდა თავად, რაკი ჩემი ღონე ვიცი, ასეთ დიდ საქმეებში არ ვერევი, მაგრამ საშველს არ მაძლევენ, ძალაუნებურად მომახვევენ საქმეს თავზე და, რაღა თქმა უნდა, საქმე ნაყოფს ვერ მოიტანს.

რით აიხსნება ეს? მარტო მით, რომ არავითარ საქმისთვის ჩვენ საკმაო რიცხვი მომზადებულ მოღვაწეებისა არა გვყავს, არც თავისუფალი ხალხი გვყავს, რომ მარტო საზოგადო საქმეს მოანდომოს თავის ძალ-ღონე, მთელი ერის საქმეზე ზრუნავდეს და დღე და ღამ მის საქმეს აკეთებდეს. საქმე კი აუარებელია, ისეთი საქმე, რომელიც მთელს ერს შეეხება, და ზოგჯერ ისე საჩქაროა, რომ ვინმემ უნდა გააკეთოს ისე, როგორც შეუძლია, თორემ გადადებით სულ დაიღუპება. არ გაერევი ამგვარ საქმეში, გეტყვიან, მოღალატე ხარო, ასეთ დიდ საქმეს გაურბიხარო. ეტყვი, არ ვიცი ეგ საქმე, არ ვარ მომზადებული, გეტყვიან, სხვაზედ უკეთ შენ იციო, უკეთესი მცოდნე რომ გვყავდეს, არც შენ შეგაწუხებდითო.

მართლა ხედავ, საქმეს არავინ კისრულობს, მოდი და ნუ გაერევი აბა საქმეში. მე მაგალითებს არ გამოვუდგები, თუმცა ბევრი მაქვს. ვიტყვი მხოლოდ: ამ ზაფხულს რომ აგარაკად ვიყავი, ოთხჯერ მოვიდნენ ჩემთან, უსათუოდ უნდა ჩამოხვიდე ქალაქში და ერთ დეპუტაციაში მონაწილეობა მიიღოო, ოთხივეჯერ უარი ვუთხარი, შეუძლოდაც ვიყავი და არც მომზადებული ვყოფილვარ განზრახულ საგნისათვის. მერმე მომწერეს, იცოდე, შენ თუ არ ჩამოხვალ, დეპუტაცია არ შესდგება და დანაშაული შენი იქნებაო. ავიღოთ ეხლა ეს უკანასკნელი საქმე ქართული ენის სწავლების გაუმჯობესობისა საშუალო სასწავლებლებში. ქართულ გიმნაზიის მშობელთა წრეს პირველ კრებაზე კატეგორიულად განვუცხადე (მოწმე მთელი კრებაა), კომისიაში მონაწილეობის მიღება არ შემიძლია-მეთქი, მაგრამ მაინც ძალაუნებურად ჩამაბეს საქმეში. ამ შემთხვევაში ჩემი გარევა სრულიად საჭირო არ იყო, ვინაითგან საკმაო კარგად მომზადებული ქართულის ენის მასწავლებელთა რიცხვი ქალაქში, ეს მათი საქმეა, მაგრამ ცენტრალურ წრის კრებაზე ისინი სრულიად არ სჩანდენ ერთი ორის გარდა. ვიკითხე მიზეზი, არ მოვიდნენო, მითხრეს. კომისიაშიც მე, ბ-ნ ბარნოვის და ივ. ზურაბიშვილის გარდა, ვერავინ ვნახე. ჩემი მოღალატედ გამოცხადების შემდეგ მე მშობელთა წრეს ვთხოვე გავეთავისუფლებინე კომისიის წევრობიდან და ჩემი პოზიცია გავაცანი, ესე იგი გამოვუცხადე და ეხლაც საჯაროდ ვაცხადებ: მე მოვითხოვ (და მოვითხოვე კიდეც) ადგილობრივ ენების უფლებას საშუალო სასწავლებლებში იმ სახით, როგორც ჩემს ფორმულაშია ზემოთ გამოცხადებული კომისიის მიმართ. მე ამას არავითარ კომენტარიებს და განმარტებას ჩემდა თავად არ ვუკეთებ, მაგრამ როდესაც მკითხავენ: როგორ მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როდესაც ისეთი ქართველის შვილები შემოდიან კავკასიის გიმნაზიებში იმ გიმნაზიებიდან, სადაც ადგილობრივ ენებს არ ასწავლიან და ქართული ენა არ იციან ან საკმაოდ მოზადებულნი არ არიან ამ ენაშიო, კატეგორიულად მივუგებ: უნდა უეგზამენოდ მივიღოთ-მეთქი. ეს ჩემი ღრმა რწმენაა, ამას არ გადაუხვევ არას გზით, თუნდ მთელმა ქართველობამ ჩამქოლოს. ვისაც უნდა ეს შეცდომად მიიღოს, ვისაც უნდა ღალატად, ჩემთვის სულერთია. მე რასაც ჩემი სინდისი მიჰრის, იმას ვემყარები. ეხლა თქვენი მოვალეობაა, ბ-ნო რედაქტორო, ქართულ გიმნაზიის მშობელთა წრე, რომელმაც მე მთხოვა დარჩენა კომისიაში, მიუხედავად ამ განცხადებისა, აიძულოთ, მე კომისიის წევრობიდან გამანთავისუფლონ და მადლობელი ვიქნები. მე კიდევ იმიტომ ვერ ვამბობ უარს კომისიის წევრობაზე ეხლაც, რომ ბ-ნმა ვ. ბარნოვმა კატეგორიულად გამოგვიცხადა: მე და ივ. ზურაბიშვილი თუ დავანებებთ თავს კომისიას, უსათუოდ ისიც დაანებებს, და ეს კი საქმეს დიდად ავნებს. ჩემის აზრით იმ კომისიის წევრად მარტო ბ-ნი ბარნოვი კმარა, ამას გარდა ვაცხადებ: რაც უნდა მაგინოთ თქვენ თუ სხვებმა, ბ-ნო რედაქტორო, რაც უნდა „მხდალი“ და „მოღალატე“ მიწოდოთ ეროვნულ საქმისა ანუ „ვიღაცას მეოხებით“ მომქმედი, მე პასუხს არ გაგცემთ. ნურც ნურაოდეს ბ-ნი გრიგოლ ლალიძე მოელის ჩემგან პასუხს: მე იმითაც ბედნიერი ვარ, რომ ჩემ მოწაფეს ჩემზე უკეთ ესმის ეროვნული საქმე. ჩემი მიზანი და იდეალიც ეს არის, ჩემი მოწაფე მე მჯობნიდეს ყოველ საქმეში, უამისოდ კაცობრიობის პროგრესიც ხომ არ იქნებოდა, მაგრამ ბ. გრიგოლს ნუ დაავიწყდება, რომ მე იმდენი „კეთილ მსურველები“ მყავანან, რომ ჩემ შესახებ არა ერთხელ გაიგონებს ამგვარ ცილისწამებას. ხომ მოგეხსენებათ: კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველიაო!*)

ექ. თაყაიშვილი.

---

*) ეს წერილი პატივცემულ ექვ. თაყაიშვილისა გამოიწვია იმ შენიშვნამ, რომელიც „სახ. ფურც.“ დაიბეჭდა ექვთ. თაყაიშვილისა და ივ. ზურაბიშვილის შესახებ. ორსავე ბრალდებოდა ისა, რომ საშუალო სასწავლებლებში ადგილობრივის ენების სწავლების გაუმჯობესობის შესახებ შემდგარ ჯეკომისიაში მონაწილეობის დროს როვანად ვერ დაიცვეს ქართულ ენის ინტერესიო. ჩვენმა რედაქციამ მაშინ თავი შეიკავა და დაუცადა პატივცემულ ე. თაყაიშვილისა და ივ. ზურაბიშვილის წერილებსა. უკვე გადმოვბეჭდეთ „სახ. ფურცლიდან“ წერილი ივ. ზურაბიშვილისა. ახლა ვბეჭდავთ ექ. თაყაიშვილის წერილსაცა.

რედ.

ვინ იყო გამცემი თ-დ ევსეი ფალავანდოვი?

(დასასრული)

რასაკვირველია, ფალავანდიანთ შორის ბევრი წინააღმდეგი იყო, რომ მისთვის თავის გვარი არ მიეცა, მაგრამ ვინც მოუწერა ხელი გვარში და რუსის მმართველობაში გავლენიანი პირები იყვნენ, თვით ელიაზარ ფალავანდიშვილი მეფე გიორგის ელჩი იყო საქართველოს რუსეთთან შეერთების ტრაქტატის დასადებად.

ეს მაძიებელნი გვარისა და თავადობისა, მამულში არას სთხოვდნენ, მხოლოთ თავიანთის ხელის მოწერით გვარის დამტკიცება ესაჭიროებოდათ. და რაკი ფალავანდიშვილებსაც მამულიდან არაფერი ეკარგებოდათ და არაში ენაღვლებოდათ, თავიანთის ხელის მოწერით მეგობრებს იჩენდნენ, მით უფრო, რომ იმ დროს ნიკოლოზ ფალავანდოვი თბილისის გუბერნატორი იყო და დიდი გავლენიანი კაციც.

ამ მოწმობაზედ თ-დ ფალავანდიშვილებმა, ვინც ხელი არ მოუწერეს, თბილისის გუბერნატორმა ფალავანდოვმა ბევრი ხეირი არ დააყარა; სხვათა შორის, მამიჩემისაგან გაგონილი მაქვს, რომ პაპაჩემი დიმიტრი ბერის ძე გიორგი მეფის კარის კაცად იყო, ეს წინააღუდგა იოსების მემკვიდრეებისათვის ფალავანდიანთ გვარი მიეცა. რუსის მთავრობის დროს ყველა თავად-აზნაურს თავისი გვარი და ხარისხი უნდა დაემტკიცებინა; აი ამ დროს უმტრო გუბერნატორმა ფალავანდოვმა დიმიტრი ბერის ძესა და მის ბიძაშვილს იაკობს. რუსის მთავრობამ გააგლეხკაცა ესენი და ორი წელიწადი გლეხის გადასახადს იხდიდნენ. ბოლოს, ბევრის დავიდარაბის შემდეგ, თავიანთი გვარი და თავადიშვილობა აღადგინეს. ამათი საქმეც დეპუტატთა საკრებულოს საქმეებიდან სჩანს.

5. მიხეილ ფალავანდოვი თავის თხოვნასთან არდგენს კიდევ ერთ საბუთს, სადაც ორი გვარი ჰქონია: **მიქაძე-ფალავანდოვი.** აი ეს საბუთიც: „Господинъ Титулярный Совѣтникъ князь Михадзе-Палавандовъ! отличное елуженiе ваше по возможной должности обращаетъ на васъ Мое вниманiе. Въ награду за оказанныя заслуги и въ поощренiе къ дальнѣйшимъ подвигамъ, Всемилостивѣйше жалую васъ Кавалеромъ ордена святыя Анны второго класса, знаки коего при семъ препровождаются. На подлинномъ подписано собственною Его Императорскаго Величества рукою такъ: Александръ. Въ С. Петербургъ 2 сент. 1811 года.“

იოსებ ფალავანდოვი ფალავანდიანთ ჩამომავალი რომ ყოფილიყო, „საფალავანდოში“ მონაწილე იქნებოდა; „საფალავანდოში-კი მასა და მის შვილებს ერთი დღიურის ზომისა არც კი სჰერიათ. მასთანავე საერთო ფალავანდიანთ საგვარეულო შტოში შეტანილი იქნებოდნენ.

იოსებ ფალავანდოვი სასულიერო პირი ყოფილა, როგორც საქმეებიდან სჩანს—აგრეთვე პატივცემული სოფრომ მგალობლიშვილი ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ მე-9 ნომერში „ქართული ეკლესია და სამღვდელოება“-ში იხსენიებს. ეს პირი მიქაძეების ჩამომავალი იყო, თუ უშვილებია, მათი თანამდებობა მაზედ გადმოსულა, ესე იგი, როგორც მიქაძეების საქმიდანა სჩანს, მიქაძეები ერეკლე მეფის დროს ჯვარის მტვირთველნი ყოფილან და ერთი მათგანი თბილისის სემინარიის რექტორადაც ყოფილა.

6. 1820 წელს ნოემბრის 29 დღესა დეპუტატთა საკრებულომ დაადგინა და შერიცხა მიხეილ ფალავანდოვი და მისი ძმები ნიკოლოზი და ევსეი თ-დ ფალავანდიანთ გვარში. ამ დადგენილებაში, სხვათა შორის, აი რასა ვკითხულობთ: . . . . . 5) Грамоты данной въ 1802 году каталикоса патрiархомъ царевичемъ Антонiемъ отцу его Iосифу Георгiеву сыну Палавандову. потверждающее ему сынъ перваго протопресвитора и по оному доходы свидѣтельствующей объ усыновленiи его Iосифа, съ воли царя и его каталикоса княземъ Михадземъ, отдавшимъ ему все наслѣдство и имѣнiе, которое по праву усыновленiя и принятой имъ его фамилiи Михадзе совокупно съ своею собственною и состоитъ во владѣнiи дома его Палавандова съ того самаго времени“...

ამ დადგენილებაში მიქაძე თავადად იხსენიება; მიქაძეების საქმეებში კი, როგორც ზევით მოვიხსენიე, ჯვარის მტვირთველნი იყვნენ. სწორედ იმ დროს, რა დროსაც მიხეილი ეძიებს თავადობას, ამავე დროს მიქაძეც—მიხეილის მახლობელი, ეძებს თავადობის ხარისხსა. დეპუტატთა საკრებულომ მიქაძეებს თავადობა არ მიანიჭა. ამ მიქაძეებიდან მემკვიდრეები აღარავინ დარჩა, იოსებ ფალავანდოვის მემკვიდრეებიდან მხოლოდ გუბერნატორის ქალი ელისაბედი—მეუღლე კონსტანტინე მუხრანსკისა ეხლახან გარდაიცვალა.

დუშიკო ფალავანდიშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის
მატარებლების მიმოსვლა
(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	11.43	საღ.
ბორჯომისკენ	სამგზ.	№ 19,	3,20	დღ.
„	„	№ 17,	8.27	დილ.
გორისაკენ	სამგზ.	№ 61,	9.10	დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	9.20	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-8,	11.13	საღ.
თელავისაკენ		№ 4,	8 „ 58 „	დილ.

თფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	7.51	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.48	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
გორიდან	სამგზ.	№ 62,	6.34	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	10.40	საღ.
თელავიდან		№ 3,	6.24	საღ.
ყარს-ჯულფ.	საფ.	№ 3***,	8.10	დილ.

გაზეთი
„საქართველო“
ყოველკვირეულ სურათებიან დამატებით ღირს:
მთელის წლით—15 მ., 1/2 წლით—9 მ., 3 თვით—5 მ., 1 თვით—1 მ. 80 კ.
წლიურ ხელის მოწერის ფასი შეიძლება ნაწილ-ნაწილად იქნას გარდახდილი შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს—7 მ.; 1 მარტისთვის 5 მ. და 1 ივნისისათვის 3 მ. მისამართის გამოცვლისათვის ქალაქგარეთელმა ხელის მომწერმა უნდა წარმოადგინოს 50 კ. ფოსტის მარკით.
რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76 (почт. ящикъ № 76).
კანტორა ღიაა: დილით 9—3 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე.
1 მარტიდან წლის ბოლომდე გაზ. „საქართვ.“ ეღირება 12 მ.—50 კ.
ვისაც სურს ხელისმოწერის ფასის განაწილებით ისარგებლოს, ხელის მოწერისათანავე 5 მ. 75 კ. უნდა წარმოადგინოს, დანარჩენი კი 1 მარტს და 1 ივნისს, უკვე გამოცხადებულის საერთო წესის სიხედვით.
რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი.
გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.

განცხადება

ვსთხოვ უმორჩილესად ჩვენი ადგილების მყიდველთ

საგურთალოზე „დიდი ნავენახარში“,

რომ ამ ერთი თვის განმავლობაში დღეის რიცხვიდან გასწმინდონ ანგარიშები და დაიმტკიცონ კიდეც ადგილები.

ფული შემოიტანონ თბილისის სამეურნეო ბანკში, სადაც ჩემი კაცი მიიღებს და დამტკიცების ბარათს გადასცემს ნატარიუს ქართველოვს.

ფული მიიღება ყოველდღე 10—1 საათამდე, გარდა უქმეებისა. ვინც ამ ვადაში არ წარმოდგენს მთელ ფულს, რაცა ღირის მის მიერ დაბევებული სამოსახლო, ის მით პირობას არღვევს თანახმად ჩვენის პირველ განცხადებისა.

ვექილი თავის მამის ივანე ზაალის ძე სვანიშვილისა

აკაკი სვანიშვილი

(10—598—4)

საგურთალოზე
ადგილების მყიდველთა საყურადღებოდ

შევუდექით „დიდ ნავენახარის“ (საგაბაშვილო თხინვალის აგარაკში“) **სამოსახლოების დამტკიცებას.**

ვსთხოვთ უმორჩილესად ადგილების მყიდველთ, მობრძანდნენ 27 ამა თებერვლიდგან, **წარმოადგინონ მათზე დარჩენილი ფულები სრულად თბილისის სამეურნეო ბანკში და დაიმტკიცონ თვისი დაბევებული ადგილები.**

ჩვენ მიერ მიცემული **ბარათები ფულის მიღებისა** აგრეთვე ბანკიდგან მიღებული **უსათუოთ თან უნდა მოიტანონ**—საბოლოვო ანგარიშის გასასწორებლად.

გადილების დამტკიცება გასტანს—ამავე წლის მარტის 30 რიცხვამდინ.

ვინც ამ ხნის განმავლობაში არ დაიმტკიცებს ადგილებს და არ გაასწორებს ანგარიშს, შემდეგ უფლება დაეკარგება მამულის დამტკიცებაზედაც და საყვედურის თქმაზედაც.

პატივისცემით
იოსებ ნიკოლოზის ძე მერკვილაძე.
სევასტი მიქელას ძე გაჩეჩილაძე.
ივანე ზაალის ძე სვანიშვილი.

(10—539—5)

„საქართველოს“ კანტორა
სთხოვს ხელის მომწერლებს კეთილ ინებონ და ათ მარტამდე შემოიტანონ ხვედრი ფული

ექიმი კბილისა
ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა
იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.
ჩერქეზიშვილის და რეუტოვის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი
მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეხლის ქუჩა, № 19

ექიმი
ივანე თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.
ტელეფონი № 11—82.

ექიმია
გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ
საღამოს 5-6 ს. მდე, კვირა დღეს გარდა
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.
მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმი
ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 123, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჟანზოვისა).

მოსკოვის ხაზაზინის საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დასტაქრობისა, **საშარდე მილისა, სქესობრივი** ორგანოებისა, **სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი** უძლურებისა, სიმსივნისა, ქრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, **საშარდე ბუშტის** სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9 1/2-დან 1 საათამდე და ნაშუადღევს 5—9 საათამდე.
ერლიხის „914“ და „606“
შეშხაპუნება

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ექიმი
მ. ი. მაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (ო —202—)

ექიმი
მ. ფ. მგალობლიშვილი
ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, **ზემო სართული,** ტელ. 9—53.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანტონის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათა ავადმყოფებს იღებს ოლღას ქ. № 3.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეზველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. **„დ. მაილოვის-შვილი,** სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოხბი“ ხიზილალა. მიიღება აგრეთვე საკუთარი სალობის შამაიდა მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ [illegible].

სუსუნაფტი (პონორეა)
ავადმყოფებს,

რომელთაც მრავალჯერ განმავლობაში დიდძალი ფული დაუხარჯნიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისათვის ვერა უშველიათ-რა, ეხლა საშუალება აქვთ საბოლოოდ განთავისუფლდნენ მისგან, თუ შეიძენენ ცნობილ საშუალებას „ურიტალს“, რომელიც სულ ცოტახანში არჩენს გაუჯუღებულ და ქრონიკულ სუსუნატს საშარდე ბუშტისა, პროსტატისა და სხ.

რატომ

ზოგჯერ ავადმყოფები ყურადღებას არ აქცევენ ავადმყოფობას და იგი მთელს ტანში ვრცელდება?

იმიტომ, რომ,

ჯერ ერთი, დღის დიდი კრიზისი წამლებისა.

მეორედ, იმიტომ, რომ მართლაც ძნელია ნამდვილ, რადიკალურ საშუალების გამონახვა.

მაგრამ უეჭველად ავადმყოფობა, ქალი იქნება თუ ვაჟი, უნდა შეიძინოს უებარი „ურიტალი“. სპეციალისტ-ექიმებს დიდი ხნის გამოცდილებით, აგრეთვე ლაბორატორიებში დამტკიცება, რომ

ურიტალი

ნამდვილად არჩენს სუსუნატს. თითო ფლაკონი ღირს 3 მან. 50 კაპ. მთლად მოსარჩენათ ახალი ავადმყოფისათვის საკმაოა ექვსი ფლაკონი და ძველისათვის რვა ფლაკონი [illegible]. ქვეყნებში იყიდება 5 მანეთის [illegible] შემდეგ.

შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ **პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებაში: თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 16, განყ. 6—1, სახელმწიფო ბანკის პირდაპირ.**

За заказами и справками обратиться въ Тифлисское Отделенiе Парижской-Фармацевтической Лабораторiи Тифлисъ, Лорисъ-Меликовская, № 16, отд. 6—1, напротивъ Государственнаго Банка.

[illegible]

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „ცნობის“ ა. კალანდაძისა, გოგოლის შესახვევი № 4